თუ ადამიანებს არ მიეცემათ შრომის საშუალება და შესაგამისი საზღაური, ქვეყანას მომავალი არ ექნება

შეხვედრა

„საქართველო პოსტსაბჭოურ სივრცეში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების მაღალი დონით გამოირჩევა“

– გასულსა 25 ივნისს საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრისას ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის პრეზიდენტმა კენეტ უოლეკმა, რომელიც საქართველოში წინასაარჩევნო სამშვიდობოს გასაღნობად ეწვია ჩვენს ქვეყანას.

„ჩვენ მივიჩნევთ, რომ დემოკრატიის მთავარი გარანტი თქვენ ბრძანდებით, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი დამსახურებაა ძალაუფლების დეცენტრალიზაცია. ამის მაგალითია საქართველოს დღევანდელი პარლამენტი, რომელიც დიდად განსხვავდება რეგიონის სხვა სახელმწიფოთა პარლამენტებისაგან,“ – აღნიშნა სტუმარმა და დასძინა, რომ არჩევნებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული, რათა შენარჩუნდეს დემოკრატიული პროცესები.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის პრეზიდენტს საქართველომი მოქმედ ყველა პოლიტიკურ ძალასთან აქტიური თანამშრომლობისათვის და აღნიშნა, რომ საქართველომ არ უნდა გადაუხვიოს დემოკრატიული განვითარების არჩეულ გზას:

იხ. მე-2 გვ.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

აზრთა ჭიდილი წინსვლის საწინდარია

ჩვენს სინამდვილეში რომ მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება, ამაში ცუდი არაფერია. მთავარია მხოლოდ, რომ ამ მოვლენებს რაღაც დადებითი მუხტი ჰქონდეთ. ამ მხრივ არც გასული კვირა იყო გამონაკლისი და ჩვენც ხან უარყოფითი, ხანაც კიდევ დადებითი ემოციებით ვიყავით გადაგვირთული – მოვლენების შინაარსიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა. სწორედ მოგეერთი მათგანის მოკლე კომენტარი გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 25 ივნისს გამართულ მთავრობის მორიგ სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე. მან განაცხადა, რომ ამ დღეებში შეხვდა სამხარეო ადმინისტრაციების ხელმძღვანელებს. საუბარი გულახდილი იყო და იგი ძირითადად არსებული მდგომარეობის ანალიზს მიეძღვნა. ედუარდ შევარდნაძის თქმით, თითქმის ყველა გუბერნატორმა აღნიშნა, რომ თანდათან გართულდა ურთიერთობა სამინისტროებსა და უწყებებთან. თითქმის შეუძლებელი გახდა მინისტრებთან ან მათ მოადგილეებთან დაკავშირება. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ეს საკითხი ახლო მომავალში საეცაალური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

იხ. მე-2 გვ.

„დილა ამ გაზეთის გადამლით დაიწყეთ...“ *ალექსი ვაჩნაძე*

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ ამშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს რესპუბლიკა

The Georgian Railway Ltd

სგნკ – საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №166 (4545) ხუთშაბათი, 26 ივნისი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

საუკუნის პროექტი

„დიდი აბრეშუმის გზა“ – უკვე რეალობაა

„შერატონ მეტეხი პალასში“ 25 ივნისს გაიხსნა და სამ დღეს გასტანს პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: „დიდი აბრეშუმის გზა და საქართველო“. სიმპოზიუმის ორგანიზატორები არიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობენ იმ ქვეყნების წარმომადგენლები, რომელთა გეოგრაფიაშეც გაივლის ეს ისტორიულად ცნობილი და „შკვერეთით ამდგარი“ გზა.

– წარსულში ერთ-ერთი უდიდესი და მნიშვნელოვანი „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენა დღეს რეალობად იქცა,– თქვა სიმპოზიუმის გახსნისას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ალბერტ თავხელიძემ. იგი მიესალმა სიმპოზიუმის მონაწილეებს, წარმატებული მუშაობა უსურვა მათ და გააცნო საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მისალმების წერილი სიმპოზიუმის მონაწილეებისადმი.

იხ. მე-3 გვ.

ციტატა

ვინ გამოიყენებს შექმნილ ფონს?

„ძართველი ოპოზიციონერების უპასუხისმგებლობა და რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიზანმიმართული პროპაგანდა ურთიერთშეთანხმებული მოქმედების შთაბეჭდილებას გვიქმნის, რის შედეგადაც ვალიბდება არასასურველი ფონი საქართველოსთვის. ეშიშობ, რომ ამ ფონს უფრო რუსეთი გამოიყენებს, ვიდრე საქართველო“.

ნუგზარ მოლოდინაშვილი,
პოლიტოლოგი.

„სვობოდნაია გრუზია“, №172-173.

პრეზიდენტი

„ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის ქვეყნის პროგრამა, რომელსაც იმედით შეჰყურებს საქართველოს მოსახლეობა“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიმართვა „საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის“ თაობაზე *2003 წლის 25 ივნისი.*

კმერწასო თანამემამულენო,

მთელი ჩვენი საზოგადოების, აღმასრულებელი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო და აკადემიური წრეების, ბიზნესმენების, ჩვენი უცხოელი მეგობრებისა და დონორების აქტიური მონაწილეობითა და მხარდაჭერით მომზადდა „საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა“.

აღნიშნული პროგრამის ოფიციალური დამგეგმეებით დასრულდა ხანგრძლივი, მრავალწლიანი პროცესი, რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, თანამონაწილეობის მაღალი ხარისხით გამოირჩეოდა. ამთავითვე უნდა მოგახსენოთ, რომ „ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამას“ შემუშავება გასწავეთ საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების განვითარების ათწლიანი ეტაპის ლოგიკური გაგრძელება.

კარგად მოგეხსენებათ, რა გზა განელო საქართველომ ამ ბოლო წლების განმავლობაში. ამ გზის, მათ შორის მისი უმძიმესი მონაკვეთების, ეგაპების გავლის გარეშე დღეს ძალიან გაგვიჭირდებოდა იმაზე საუბარი, რომ საქართველო ახლებურად უნდა შეიდგეს ყველაზე მწვავე პრობლემის გადაჭრას, რომელსაც სიღარიბე ჰქვია.

იხ. მე-3 გვ.

ინფორმაცია

დევნილი მოსახლეობის პრობლემები განიხილეს

მოსკოვში დასრულდა შეერეული კომისიის შუშაობა, რომელშიც რუსეთის, საქართველოს, ჩრდილოეთ ოსეთის და თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები შედიოდნენ.

ფლიქტის მონიდან დევნილი მოსახლეობის რეგისტრაციის-რეპატრიაციის საკითხებს განიხილავდა.

შეხვედრაზე მორონოვმა განაცხადა, რომ რუსული მხარე უკმაყოფილია კომისიის მუშაობით, რაშიც რუსეთის წარმომადგენელი პირველ რიგში ქართულ დელეგაციას ადანაშაულებს. რუსი დიპლომატის თქმით, ქართულ მხარეს არანაირი კომპრომისი არ სურს, რაც შესაძლოა მოლაპარაკებათა ჩიხში შესვლის მიზეზი გახდეს.

მომავალი შეხვედრა ანალოგიური ფორმატით ოქტომბერში და ისევ მოსკოვში გაიმართება.

200 ათასი ხელმოწერის შეგროვებას იწყებენ

„აღმიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია“ რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით 200 ათასი ხელმოწერის შეგროვებას იწყებს. საქართველოს მოსახლეობამ პასუხი უნდა გასცეს კითხვას, თანხმდნინ არიან თუ არა პარლამენტში დეპუტატთა რიცხვი 150-მდე შემცირდეს.

მუშიდობის-მყოფლებს განდატი გაუგრძელეს

რუსეთის ფედერაციის საბჭომ დღეს თანხმობა განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების კონტინგენტი მშვიდობის დაცვის კოლექტიური ძალების შემადგენლობაში გამოყენებული იქნეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მონაში 2003 წლის 30 ივნისამდე. კონტინგენტის რაოდენობა დაახლოებით 3 ათასი კაცია.

ქართულ ელმავლებს უკრაინა შეისყიდის

საქართველოში გამოშვებული ელმავლების ახალი მოდელი საერთაშორისო ბაზარზე გაგდის. როგორც შპს „საქართველოს რკინიგზის“ მეთაურმა აკაკი ჩხაიძემ საქინფორმის კორესპონდენტს განუცხადა, ახლახან საქართველოს მარკანი რამდენიმე ელმავალი შეიძინა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ. თბილისის ელმავლაშენებელი ქარხნის ახალი პროდუქციით დაინტერესდა უკრაინა. შეიქმნა საქართველო-ჩინეთის ერთობლივი საწარმო. მისი დანიშნულებაა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პროდუქციის გამოშვება და რეალიზაცია ევროპის ბაზარზე.

რას აძლევს იფადი მთის რეგიონებს?

ქვეყნის მთისა და მაღალი მთის რეგიონების განვითარების პრობლემებს მიეძღვნა ორდღიანი სემინარი, რომელიც გაიმართა ბორჯომში. მასში მონაწილეობდნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, სამდვარგარეთის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამ აღგილების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის პრეზენტაციის გარდა უკვე მერამდენე წელია საქართველოში ახორციელებს სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ფონდი იფადი.

ბენეფიციი სანჭკ-პეტერბურგში

სანჭკ-პეტერბურგს მარნეის თეატრის სცენაზე სპექტაკლის „მადამ ლეონელის“ პრემიერა გაიმართა. აღამსისა და ბრაერსის ერთაქტიანი ბალეტი ქორეოგრაფმა კონსტანტინ სიმონოვმა სპეციალურად პრიმბალერინა – ირმა ნიორაძისათვის დადგა. ეს დღე განსაკუთრებული აღმოჩნდა მოცეკვავისათვის. წარმოდგენის მეორე ნაწილი ირმა ნიორაძის გალა-კონცერტს დაეთმო. მისმა სელოვნებამ მაყურებელი აღაფრთოვანა. ქართველმა პრიმამ კლასიკური და ნეოკლასიკური დადგმები წარმოადგინა.

ჟლერს სასულე მუსიკა

თბილისს კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში უნეველო სადამო გაიმართა. კამერულმა ანსამბლმა „პირველმა“ გივი მუნჯიშვილის მსაგავრული ხელმძღვანელობით მსმენელთა სამსჯავროზე გამოიგანა უნიკალური საეკლესიო საგალობლები. ფორგეპიანოს პარტიას ბრწყინვალედ ასრულებდა ნანა ხუნდაძე-ფერეთელი.

სადამოს საპაგიო სტუმარი იყო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეგარესი ილია მეორე. სწორედ მის პატივსაცემად გაიმართა ეს დიდებული, დუეტ-ფარი კონცერტი.

ინფორმაციას მოამზადეს: სანინფორმმა, ინტერ-პრესმა.

გმირობა!

ბუშინ თბილისში ჯანმრთელობის სახლში თამარ ორჯონიკიძესა და ლექსო ცხვედიანს შეეძინათ პატარა რუსუდანი, რომელიც 4,5 კილოგრამს იწონის.

მამა გალახაძე და დედა ლასხიშვილი სულითა და გულით ულოცავენ ბედნიერ დედ-მამას და ბებია-ბაბუას – შურაბ და ნანა ორჯონიკიძეებს ოჯახის გამრავლებას.

კიდევ ერთი შოთა ხოდაშნელი დაბადებულა!

24 ივნისს სხვა ახალშობილებს შორის ერთი ლამაზი, ბუთხუმა ბიჭიც შეეძაგა საქართველოს, ფსიქოლოგ რუსუდან სამხარაძე-ხოდაშნელისა და ექიმ ვახტანგ ხოდაშნელის მეორე შვილი. მშობლებმა ბიჭს პაპის სახელი შოთა დაარქვეს, იგი პოეტის, ფოლკლორისტისა და ჟურნალისტის, ჩვენი გაზეთის სბავშვო განყოფილების რედაქტორის შოთა ხოდაშნელის სეხნიაა. ხარობენ სამხარაძეები და ხოდაშნელები, ძმას გაკვირვებულ-გახარებული მოელის წლისა და 2 თვის ელენე.

მეხუთე შვილიშვილს შეეხვნა ვეღლიკავთ შოთა ხოდაშნელსა და მის მეუღლეს ეთერ ხუციშვილს, მეორე შვილისას – რუსუდანს და ვახტანგს. ღმერთმა სიხარული და ბედნიერება ნუ მოაკლოს მათ ოჯახს.

ბაბუა „საქართველოს რესპუბლიკა“ რედაქციის თანამშრომელი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

არჩევნები

საქართველოს პრეზიდენტს საგანგებო მიმართვას მონიტორინგის კომიტეტი გაუგზავნის

აგვისტოს დამლევს საქართველოში მონიტორინგის კომიტეტის მორიგი მისია, მაგალს ეორშისა და ევგენი კირილოვი შემადგენლობით, რიგგარეშედ ჩამოვა. ამ გადაწყვეტილების საფუძველი გახდა საქართველოს მიერ საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს რეკომენდაციების შეუსრულებლობა. ეს გადაწყვეტილება 24 ივნისს ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტის კონფიდენციალურ სხდომაზე მიიღეს.

როგორც სხდომის შემდეგ საქინფორმის კორესპონდენტს მომხსენებელმა ევგენი კირილოვმა განუცხადა, მონიტორინგის კომიტეტის 76 წევრი გამოთქვამს შემფოთებას იმის გამო, რომ ჯერჯერობით საქართველოში მოახლოებული არჩევნების ფონზე დაუკომპლექტებელია ცენტრალური საარჩევნო კომისია, არ არის მიღებული საარჩევნო კოდექსი. კირილოვის თქმით, არც ამომრჩეველთა ახლად დაკომპლექტებული სიები არის სრულგასოვანი, და იგი უცხოელი მეთვალყურეების გადამწყვეტის საგანი უნდა გახდეს.

იხ. მე-3 გვ.

დაფუძნება

საპარლამენტო ასამბლეაში გაერთიანდნენ

საქართველომ არსებული 400-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია დღეს ერთ დიდ ასამბლეად ჩამოყალიბდა. არასამთავრობო ორგანიზაციების საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც ძირითადად დარგობრივ პროფაკავშირულ გაერთიანებებს, ომის ვეტერანთა და აფხაზეთიდან ლტოლვილთა კავშირებს და ეროვნულ უმცირესობათა ორგანიზაციებს აერთიანებს, ხუთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაიფუძნა.

არასამთავრობო ორგანიზაციათა საპარლამენტო ასამბლეა აპოლიტიკური გაერთიანება იქნება, რომელიც მთავარ მიზნად მოქალაქეთა უფლებების და ინტერესების დაცვას და დემოკრატიის მშენებლობის პროცესში მათ გააქტიურებას ისახავს. თუმცა, ახლადშექმნილი გაერთიანება წინ აღუდგება „ფსიქიურად გაუწონასწორებელი ადამიანების და ნარკომანების ხელისუფლებაში მოსვლას“.

ინტერ-პრესი.

ეტაპი

პროგრამა წარმატებულად მიმდინარეობს

25 ივნისს დაიწყო საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის მესამე ეტაპი, რომლის დროსაც ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების დახმარებით საქართველოს შეიარაღებული ძალების 113-ე მხუბელი ქვეითი ბატალიონიდან და მე-11 მოგომსროლელთა ბრიგადიდან 560 ჯარისკაცი გაიელის სპეციალურ მომზადებას.

საქინფორმი.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში ქარი 8-13 მ/წმ. დაბლობში ღამით +14°, დღისით +27°, მთაში ღამით +7°, დღისით +22°, მაღალ მთაში ღამით 0°, დღისით +15°.

აღმოსავლეთ საქართველოში ქარი 10-15 მ/წმ. ბარში ღამით +12°, დღისით +26°, მთაში ღამით +6°, დღისით +21°. მაღალ მთაში ღამით 0°, დღისით +15°.

თბილისში ქარი 15-20 მ/წმ. ღამით +12°, დღისით +26°.

ლარის კურსი

21 ივნისიდან დადგინდა ლარის ფიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.6096	ლარი
აშშ დოლარი	1	2.1500	ლარი
ევრო	1	2.5136	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0709	ლარი.

უკანასკნელ საათს

ირანის პრეზიდენტის სამხედრო თვითმფრინავმა ავიაკატასტროფა განიცადა. იგი თეერანის მახლობლად ჩაშოვარდა. C-130 Hercules-ის ტიპის სამგზავრო თვითმფრინავში, რომელსაც აშშ-ს სამხედრო სამსახურებიც იყენებენ, შეიდევე მგზავრი დაიღუპა. თავად ირანის პრეზიდენტი სათაში თვითმფრინავში არ იმყოფებოდა.

„პაპასის“ ორგანიზაციამ, რომელიც ცნობილია თავისი ბარბაროსული ტერაქტებით, საბოლოოდ ცნო ისრაელის სახელმწიფო და განაცხადა, რომ დღეიდან იგი წყვეტს ამ ქვეყნისადმი მიმართულ ყოველგვარ ტერორისტულ აქტს. „ისრაელის განადგურება შეუძლებელია. პალესტინელებისათვის პრაქტიკული გადაწყვეტილება იქნება ისრაელთან ერთად შექმნან სახელმწიფო და არა მის აღგილზე“, – დაასკვნა „პაპასის“ ლიდერმა.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

– ვსხედვრობ თბილისში. მყავს ოთხი შვილი. გაგიგე, რომ მრავალშვილიან დედებს ეძლევიათ ყოველთვიური ფულადი დახმარება, მაგრამ კარგად არა ვარ გარკვეული კონკრეტულად ვის ეძლევა იგი. თუ შეიძლება თქვენი გაზეთის მეშვეობით განმარტოთ აღნიშნულის შესახებ.

ლია ბოცვაძე

– ქ. თბილისის მთავრობის 2003 წლის 13 თებერვლის დადგენილებით, დედაქალაქი მუდმივად მცხოვრე მრავალშვილიან ოჯახებს (მათ შორის დევნილებს), რომელთაც ჰყავთ სამი, ოთხი, ხუთი ან ექვსი 18 წლამდე ასაკის შვილი, ენიშნებათ ყოველთვიური სოციალური დახმარება თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე 5 ლარის ოდენობით თვეში.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-64.

ინტერპანორამა

ეშნაური გამოკვლევა ჩაატარეს ნიურნბერგის ბიომედიცინისა და ფარმაცევტიკის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის სწავლულებმა. მათ გულმოდგინედ შეისწავლეს და დაამტკიცეს, რომ ათიდან ცხრა ევროს ბანკნოტზე... კოკაინის კვალი აღმოჩნდა.

რუსული განკარგი „მოსკოვი“, რომელზეც 100 ათასი ტონა მაზუთია, ნორვეგიის ჩრდილო ნაპირებიდან 16 საბდვარო მილის დაშორებით მოულოდნელად გაჩერდა.

აშსტრალიელმა ჯარისკაცებმა ქვეყნის თავდაცვის სამინისტროსაგან მიიღეს ბრძანება, რომ სასწრაფოდ გაანადგურონ 15 ათასი კენგურუ. მიზეზად ჩანთოსანი ცხოველების კაკასტროფულ გაბრაველებს თელიან, რომელებმაც მეელი კონტინენტის მწვანე საფარი გაანადგურეს.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 166, ხუთშაბათი, 26 ივნისი, 2003 წელი

შეხვედრა

„საქართველო პოსტსაბჭოურ სივრცეში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების მაღალი დონით გამოირჩევა“

პირველი გვერდიდან

„ამგვარი განწყობა აქვს საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, თუმცა არის იმის საფრთხე, რომ გარკვეულ ნაწილს სწორი პოლიტიკური არჩევანის გაკეთებაში მოუგვარებელმა სოციალურმა პრობლემებმა შეუშალოს ხელი,“– განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

თუმცა, მან არც ეს ფაქტორი მიიჩნია დიდ გრაგედიად და აღნიშნა, რომ მთავარია, მოქალაქემ იგრძნოს თავისი სრული დამოუკიდებლობა და გამოიყენოს უფლება თავისუფალი არჩევანისა.

საქართველოს პრეზიდენტმა ისაუბრა საპარლამენტო არჩევნებისათვის დაწყებულ სამზადისზე, კერძოდ, აუწყა სტუმარს, რომ უკვე შეადგინეს ამომრჩეველთა სიები, თითქმის დასრულდა საარჩევნო კოდექსზე მუშაობა, თუმცა, ჯერ კიდევ არ მოგვარებულა ცენტრალური და ადგილობრივი საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების საკითხი.

„მე ვთვლი, რომ ამ პროცესში ჩემი აქტიური ჩართვა არ არის აუცილებელი, რადგან ეს საკითხები, ჩვენი კონსტიტუციის თანახმად, კანონმდებლებმა უნდა მოაგვარონ. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობის გამიჯვნას კი ჩვენს ერთ-ერთ დიდ მიღწევად მიეჩნევა.“ – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

„ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი მხარს გიჭერთ და გამოთქვამთ რწმენას, რომ საპარლამენტო არჩევნები სამართლიანად, ღიად და გამჭვირვალედ ჩაგარდება, მისი შედეგები კი საქართველომი დაწყებული დემოკრატიული პროცესების გაგრძელებას მეუწყობს ხელს,“ – განაცხადა კენეტ უოლეკმა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

აზრთა ჭიდილი წინსვლის საწინდარია

პირველი გვერდიდან

შესვედრაზე ძალზე აქტუალური გახლდათ აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებთან დაკავშირებული საკითხი. აღინიშნა, რომ ეს სახსრები ადგილზე უნდა დარჩეს და მაშინ ზოგიერთი პრობლემა უფრო ადვილად მოგვარდება.

როგორც პრეზიდენტმა თქვა, ბოლო დროს ადგილებზე ინიშნებიან სხვადასხვა უწყების სისტემაში მომუშავე ადამიანები, რომლებსაც, რასაკვირველია, პირველ რიგში მოუწევთ სწორედ გამგებლებთან და გუბერნატორებთან მჭიდრო კონტაქტით საქმიანობა. და ასეთ სიტუაციაში გაუგებარია, თუ რაგომ ხდება ადგილობრივი ხელმძღვანელების აზრის იგნორირება ასეთი დანიშვნების დროს.

კოლორის ხეობასთან დაკავშირებით მეხვედრაზე აღინიშნა, რომ ახლა უკვე საჭიროა შემუშავდეს ამ რეგიონის სულსათით, საწვავით და სხვა აუცილებელი საქონლით მომარაგების პროგრამა, რათა უბრუნველყოთ მოსახლეობის ნორმალური გამომამთრება.

ყველასათვის ცნობილია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მრავალი ორგანიზაცია უფასოდ მოიხმარდა ელექტროენერგიას. სახელმწიფო თავს ვეღარ მისცემს ასეთი ფუფუნების უფლებას, აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ. ახლა ამ სისტემაში ამერიკული ფირმა საქმიანობს და თანაც – შედეგიანად. ამიგომ ჩვენ პარტნიორებს უნდა დავეხმაროთ, რომ საქმე წინ წავიდეს, წესრიგი დამყარდეს და, მაშასადამე, ნორმალურად გამოვიზამთროთ.

სხდომაზე პირველ საკითხად განიხილეს ინფორმაცია „საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის შემუშავების შესახებ“, რომელიც წარმოადგინა პრეზიდენტის თანამშმწემ ეკონომიკური რეფორმის საკითხებში თემურ ბასილიამ. როგორც მან აღნიშნა, ეს პროგრამა სრულად ემთხვევა საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ძირითად პოლიტიკურ პრიორიტეტებს, იქნება ეს დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ხელის შეწყობა, თუ ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება. შესაბამისად, პროგრამის ძირითადი მიზანია საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, რაც ქვეყანაში მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის პირობებში თითოეული მოქალაქის ყოფითი და სულიერი ცხოვრების გეგმჯობესებას გულისხმობს. ამასთან ერთად, პროგრამაში განსაზღვრულია ქვეყანაში ისეთი პრინციპების დამკვიდრება, როგორიცაა კანონის უზენაესობა, ეფექტიანი მმართველობა, საზოგადოების თანამონაწილეობა, ადამიანური განვითარება, მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინება, ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს შექმნა, ლეგალური სივრცის მრდა, საინფორმაციო საზოგადოების ფორმირება, შესაძლებლობათა თანასწორობა. აქვე დავსძენთ, რომ პროგრამის მთლიანი ღირებულება 2003-2005 წლებში დაახლოებით 3,8 მილიარდ ლარს შეადგენს. მთლიანად პროგრამა თორმეტწლიან მონაკვეთს მოიცავს.

ეს საკითხი რომ უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისათვის, ამაზე ლაპარაკიც შედგება. ამიგომაც იყო, რომ მის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს არა მარგო მთავრობის წევრებმა, არამედ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმაც.

ამ საკითხზე მსჯელობისას სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ

(საქართველოს პრეზიდენტის მიმართვა გაბეთის ამავე ნომერში ქვეყნდება)

სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს ფინანსთა მინისტრის მოადგილის ზურაბ სოსელიას მიერ წარმოდგენილი კანონპროექტები. „საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეგანის თანობაზე“ და „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეგანის თანობაზე“, „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეგანის თანობაზე“ და „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეგანის თანობაზე“.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე სხდომაზე ფრსდგა ინფორმაციით საქართველოს კონტროლის პალატის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე რეგირებისა და გაცემული რეკომენდაციების სარეალიზაციოდ განსორციელებული ღონისძიებების შესახებ. როგორც თვით საკითხის დასახელებიდან ჩანს, კონტროლის პალატის მიერ განხორციელებული კომპლექსური შემოწმებების შედეგად სამინისტროში სხვადასხვა დროს გამოვლინდა მთელი რიგი დარღვევები, რომელთა აღმოფხვრის მიზნით იქ სასტემატურად ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებები. მაგალითად საპენსიო ხარჯების კანონიერების შემოწმებისას დადგინდა, რომ 2000 წლის 1 იანვრიდან 2002 წლის 1 ივლისამდე პენსიების დანიშვნისა და გაცემის საქმეში სულ დამვეული იყო 2225 შეცდომა, რის გამოც შედეგად და უკანონოდ გაცემულმა თანხებმა 267080 ლარი შეადგინა. აქედან საფოსტო განყოფილებების შეცდომების გამო 304 შემთხვევაში შედეგად გაიცა 7810 ლარი, პენსიონერთა მიზეზით 301 შემთხვევაში შედეგად გაიცა 115641 ლარი, სამხედრო კომისარიატების მიერ ომის ვეტერანებზე პენსიის გასაფიდებლად არასწორი ცნობების გაცემის, აარქივისა და ორგანიზაციების მიერ მრომის სტაჟზე არასრულყოფილი საბუთების გაცემის გამო 137 შემთხვევაში შედმეგად დაინიშნა და გაიცა 46043 ლარი.

უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის განხილვისას მწვავე დიალოგი გაიმართა კონტროლის პალატის თავმჯდომარეს სულხან მოლამვილსა და ამირან გამყრელიძეს შორის. ამას დაემატა კიდევ სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის მწვავე განცხადება. მან მოითხოვა შეისწავლონ ქვეყანაში სამკურნალო სამუალებების სასბაბით სალეჯი რეფინის შემომიდვის მექანიზმი და დამნაშავეები დაისაჯონ. საქმე ისაა რომ, როგორც სულხან მოლამვილმა აღნიშნა, ასეთი წესით საღეჯი რეფინის შემომიდვის პირობებში სბბაჟო გადასახადი 35 პროცენტის ნაცვლად მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენს. ამასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძემ შენიშნა, რომ ყველა სადავო საკითხი უნდა გაარკვეს მთავრობის სხდომამდე და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდეს მათი განხილვა. რაც შეეხება საღეჯი რეფინის შემოგანასათან დაკავშირებულ გაუგებრობას, პრეზიდენტმა მოითხოვა კომისიის შექმნა, რომელიც დაადგენს ჭეშმარიგებას.

სხდომაზე განახილეს და მოიწონეს ინფორმაცია საქართველოს სგანდარგიზაციის, მეგროლოგიისა და სერგფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტმა არსებული მდგომარეობისა და განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც წარმოადგინა ამ უწყების თავმჯდომარემ მიხეილ ჯანიკაშვილმა. როგორც მან აღნიშნა, ეგრეთ წოდებული დანაწევრებული პასუხისმგებლობა უარყოფით დაღს ასვამს მეგროლოგიაში აუცილებელ სახელმწიფო მიდგომას. ამის შედეგად ქვეყანაში არ ხდება დაუკანონებელ ხელსაწყოთა საკალიბრებელი გამოვლენა სათბობ-ენერგეტიკის, ჯანდაცვის, კავშირგაბმულობის, სბბაჟო, საგადასახადო, სბბანკო და სხვა უწყებებში. ამის გამო დაუცველია ქვეყნის ბიუჯეტის ინტერესები – აღრიცხვა-ანგარიშწორებისას, ისევე როგორც მოქალაქეთა ინტერესები არასარწმუნო გამომვეხისას.

ამით სხდომის დღის წესრიგი ამოიწურა.

დასასრულ, ენის პალატის თავმჯდომარემ ლევან ფეიქოლიამ ქვეყნის პრეზიდენტს მადლობა მოახსენა ამ პალატის თანამშრომელთათვის სახელმწიფო ჯილდოების მინიჭების გამო.

თენგიზ გრიგალაშვილი,
საქინფორმის კორ.

დოკუმენტი

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წ., მუხ. 421) შეგანილ იქნეს შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. კოდექსს დაემატოს შემდეგი მინაარსის 178 [1] – 178 [3] მუხლები:

„მუხლი 178 [1]. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის

კანონმდებლობით დადგენილი პირობების შექმნისაგან თავის არიდება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, გრანსპორგითა და საგრანსპორგო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, აგრეთვე მისი თავისუფალი გადაადგილებისათვის აუცილებელი პირობების შექმნისაგან თავის არიდება –

გამოიწვევს დაჯარიმებას 300-დან 500 ლარამდე.

მუხლი 178 [2]. ობიექტების დაპროექტებისას და მშენებლობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობა

დასახლებული პუნქტების დაპროექტებისა და განაშენიანების, საცხოვრებელი რაიონების ფორმირების, საპროექგო გადაწყვეგილებების შემუშავების, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსგრუქციის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 800 ლარამდე.

მუხლი 178 [3]. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ელექტროენერგიით უწრუნველყოფის პირობის დარღვევა

დადგენილი წესის დაცვით ელექტროენერგიით უწრუნველყოფის პირობის დარღვევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირის მიმართ, რომლისთვისაც ელექტროენერგიით მომარაგება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 800 ლარამდე.

შენიშვნა: ამ მუხლით განსაზღვრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირებს, რომელთათვისაც ელექტროენერგიით მომარაგება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისგრო.“.

2. 208-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 208. რაიონის (ქალაქის) სასამართლოების განსჯადი ადმინისგრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

რაიონის (ქალაქის) სასამართლოები განიხილავენ ადმინისგრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 42[1], 42[2] მუხლებით, 43-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 44-ე, 44[1], 44[2], 44[3], 45-ე, 46-ე, 46[1], 47-56-ე, 57-69-ე, 71-86-ე, 88-ე-100[2] მუხლებით, 103-ე–105[1] მუხლებით, 120-ე მუხლის პირველი ნაწილით, 128[1], 133-ე, 134-ე, 143-ე, 144-ე, 145-ე, 146-ე, 146[1], 147[1], 148-ე-154[2], 155[1], 156-ე, 157[1], 157[2], 157[3], 158-ე, 158[1], 159-ე, 159[1], 159[2], 159[3], 159[4], 159[5] 159[9], 163-ე, 164-ე, 164[4], 165[1], 165[2], 165[3], 166-ე, 167-ე, 170-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 172[2], 173-ე, 173[1], 173[2], 173[3], 173[4], 173[5], 173[6], 173[7], 173[8], 174-ე, 174[1], 174[2], 174[3], 174[4], 174[7], 175-ე, 176-ე, 177[1], 177[3] -177[7], 177[8], 177[9], 177[10], 177[11], 178-ე, 178[1], 178[2], 178[3], 179[2], 180-183-ე, 185-ე-187[1], 187[2], 189-ე, 191-ე, 192-ე, 195-ე, 196[2]-196[6], 197[1] მუხლებით.“.

3. 239-ე მუხლს დაემატოს შემდეგი მინაარსის 45-ე ნაწილი:

„ამ კოდექსის 178[1]-178[2] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისგრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისგროს შესაბამისი ორგანოები, ხოლო 178[3] მუხლით გათვალისწინებულ ადმინისგრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ერთობლივად ადგენენ საქართველოს სათობ-ენერგეგიკის სამინისგროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარგამენგისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისგროს შესაბამისი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები.“.

4. XXXII თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XXXII

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 313 გარდამავალი დებულება

საქართველოს ადმისარულებელმა ხელისუფლებამ 2003 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყოს ამ კოდექსის 178[1] მუხლის ამოქმედებასთან დაკავშირებული სალიცენზიო და სანებართვო პირობებისა და სხვა შესაბამისი სახელმწიფო სგანდარგების განსაზღვრისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 314. დასკვნითი დებულებანი

1. ამ კოდექსის 153-ე მუხლის მე-3-5 ნაწილები, აგრეთვე 239-ე მუხლის 43-ე ნაწილი ამოქმედდეს 2003 წლის 1 სექტემბრიდან.

2. ამ კოდექსის 178[1] მუხლი და ამ მუხლთან დაკავშირებული 208-ე მუხლითა და 239-ე მუხლის 45-ე ნაწილით განსაზღვრული დებულებები ამოქმედდეს 2003 წლის 1 დეკემბრიდან.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 2003 წლის 6 ივნისი.

საქართველოს კანონი

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენგის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 123) მე-17 მუხლის პირველი პუნქგის „დ“ ქვეპუნქგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეგანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ბლვის გარეულ ცხოველთა სახეობების დაცვას და გენოფონდის რეზერვაგების შექმნისა და ფუნქციონირების დაფინანსებას;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 2003 წლის 6 ივნისი.

ქართულ-რუსული ურთიერთობების დაძაბვას ცდილობენ

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისგრი ირაკლი მენაღარაშვილი აფხაზურ მხარეს ქართულ-რუსული ურთიერთობების დაძაბვაში და სამშვიდობო მოლაპარაკებების შეფერხების მცდელობაში ადანაშაულებს.

მენაღარაშვილის მგკიცებით, ქართული მხარისთვის ჯერჯერობით უცნობია, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს სოხუმის ხელისუფლების თავდაცვის სამინისგროს ქვედანაყოფები სრულ მზადყოფნაშია მოყვანილი და გაგლის რაიონში არსებულ ვითარებაზე კონგროლის გასაძლიერებლად იქ დამაგებითი კონგინგენგი შეეგანილი.

მენაღარაშვილი აფხაზური მხარის ბრალდებას, თითქოს საქართველოს უშიშროების მინისგრმა ვალერი ხაბურძანიამ აფხაზეთში ძალის გამოყენების შესახებ განცხადება გაკეთა, მიზანშიმართული პროვოკაცია უწოდა. „ამგვარი განცხადებებით სოხუმი ცდილობს, მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობები დაბაბოს“ – აღნიშნა მინისგრმა.

ისრაელის სკოლებში „ვეფხისტყაოსანი“ ისწავლება

ისრაელის პარლამენგის (ქნესეთის) თავმჯდომარის განცხადებით, ისრაელის სკოლებში ზოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ისწავლება, როგორც აუცილებელი კლასიკური ნაწარმოები. ამის შესახებ საქართველოს პარლამენგის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ისრაელში ოფიციალური ვიზიგის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე ისრაელის პარლამენგის თავმჯდომარემ რეუვენ რივლინმა განუცხადა.

ორი ქვეყნის პარლამენგარების თავმჯდომარეების შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ისრაელის პარლამენგი საქართველოში უახლოეს ხანებში პარლამენგართა ჯგუფს გამოგზავნის, რომელიც უშუალოდ საქართველო-ისრაელს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებაზე იმუშავებს.

„საქართველოს პარლამენგი მშადაა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გააქტიურებისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა სრულყოს“ – აღნიშნა ბურჯანაძემ.

საქართველოს პარლამენგის თავმჯდომარე იმავე დღეს ისრაელის პრეზიდენგს შიმე კაცავს შეხვდა.

ინფორგაციები ომბუდსმენი ინგერ-პრესგან.

წინ არჩევნებია

ლაყბობასა და ლანძღვას გადაჰყვნენ

რეპუბლიკანიზმის პრინციპის **შესაბამებელი** გრადიციონალისტების საკონსგიგუციო კანონპროექტზე, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, ცენგრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა ჩამოყალიბებული არ არის. არ ჩანს, თითოეულ დარგში ახალი კონსგიგუციური მოდელი რა ეკონომიკურ ცვლილებებს გამოიწვევს. ამასთან, ამ კანონპროექტს თან არ ახლავს სხვა პროექტებიც, რომელიც მის ასამუშავებლად აუცილებელია. არის სხვა შენიშვნებიც. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გრადიციონალისტების მოდელი ლეგიმორისტების საკონსგიგუციო ცვლილებების კანონპროექგთან შედარებით, სადაც სოციალისგური, უგოპიური იდეები მრავალად გეხვდება, უფრო რეალურია. ცხადია, გრადიციონალისტების კანონპროექგი დამუშავებას საჭიროებს. მიუხედავად ამისა, კანონპროექგის ავგორები ჩქარობენ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ პარლამენგი მომავალ კვირას, საგანგებო სხდომაზე მათ კანონპროექგს განიხილავს და პირველი მოსმენით კიდეც დამგკიცებს.

საგანგებო სხდომაზე, გარდა საკონსგიგუციო ცვლილებებისა, დაგეგმილია საარჩევნო კოდექსის განხილვაც.

ორმაბათის გრადიციულ რადიოინგერვიუში პრეზიდენგმა ედუარდ შევარდნაძემ არჩევნების დროულად ჩასაგარებლად, საარჩევნო კოდექსის მიღების დაჩქარების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. მან აღნიშნა, რომ ამაში დაინგერესებული პარლამენგის სახელისუფლო და ოპოზიციური ფრაქციები ერთსაირად უნდა იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა მთელ პოლიგიკურ ისაგეიმშენგს დაეკისრება. ასევე, ფიქრობს ეუთოს დელეგაციაც. ამასვე ამბობენ სახელისუფლებო და ოპოზიციური ფრაქციები.

სახელისუფლო ფრაქციები აცსადებენ, რომ მშად არიან კომპრომისისთვის, რომლის გარშემოც საბოლოო შეთანხმებას დიდი ხანი არ დასჭირდება. ოპოზიციური ფრაქციები თავის მხრივ მშადყოფნას გამოთქვამენ საარჩევნო კოდექსის სადავო საკითხების განრი კი საქართველოს თავრობას სავალეგო ფონდან პროგრამის აღსაღგენად სჭირდება. დეპუგაგები მიმობენ, ამდენი ნაკითხის განხილვა, ვაითუ ვერ მოასწრონ, თუმცა მიიჩნევენ, რომ შემოთაღნიშნული კანონები მიღება აუცილებელია.

უახლოეს ხანებში შესაძლოა პარლამენგის მსჯელობის საგანი ერთი საინგერესო ინიციაგივაც გახდეს. საქართველოს საარჩევნო კოდექსში, აგრეთვე, კანონში საჯარო სამსახურის შესახებ, არასამთავრობები დამაგებების შეგანას ითხოვენ, რის საფუძველზეც საჯარო მოსამსახურეებმა და დეპუგაგობის კანდიდაგებმა ნარკოფსიქოლოგიური შემოწმების, აგრეთვე, საფინანსო დეკლარაციის შესახებ ცესკომი ცნობა უნდა წარმოადგინონ. იდეის ავგორები არიან არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ერთიანობის ალიანსის“ გენერალური მდივანი ლერი გელენავა და მორჩაობა „სიცოცხლისათვის“ ლიდერი გურამ ყორღანაშვილი.

ამასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი ჯგუფები მონიგორინგს განახორციელებენ, გაარკვევენ, ესა თუ ის თანამდებობის პირი ან დეპუგაგობის კანდიდაგი ნარკოფსიქოლოგიური მეგაგელნის ქვეშ რამდენად არის. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რამ დადასგურდება, ცესკომ მას არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ჩამოართმევს. კარგი იქნება, თუ ეს საჭირო ინიციაგივა წინასაარჩევნოდ სალაღობო მოუს სახეს არ მიიღებს.

დაბოლოს: პრაქგიკა ცხადყოფს, რომ პარლამენგი ლაყბობას, ლანძღვას გადაჰყვა და მრავალი საჭირო კანონი მიუღებელი დარჩა!

მზია გელენავა.

ექსკლუზიური

პარლამენტმა მუშტი-კრივი უნდა მოიშალოს

– როგორია ახალი – ორპალაგიანი პარლამენგის შექმნის პრინციპი?

– ბოლო დროს ამ საკითხზე საზოგადოებრივი მსჯელობა გააქტიურდა. მიმაჩნია, რომ ქვეყანამი მმართველობითი სისგემა რეფორმებს მოითხოვს. ყველა მგომი – როგორც აღმასრულებელში, ასევე საკანონმდებლოში, უნდა იყოს ორპალაგიანი სისგემა. გერრიგორიული მოწყობის გადაწყვეგა უფრო ეფექგიანს გახდის აღმინისგრაციულ და საკანონმდებლო მუშაობას. სასურველი იქნება მინისგრთა კაბინეგის ჩამოყალიბებაც. გაიმრდება გუნდური პასუხისმგებლობაც და პრემიერ-მინისგრის როლიც. პრეზიდენგს ეყოლება დამხმარე.

ორპალაგიანი სისგემა გულისხმობს ორ მედა და ქვედა პალაგას, სადაც დეპუგაგთა არჩევა მოხდება, შესაბამისად, რეგიონალური და პარგიული პროპორციებით. ორივე პალაგა ერთად არ უნდა აღემაგებოდეს 150 კაცს, ნაცვლად 235-ისა. ორივე პალაგას ექნება თავისი ფუნქციები. ქვედა პალაგა განიხილავს, მაგალითად, რეგიონალური განვითარების კონცეფციებს, საგრანსპორგო საკითხებს, მედა პალაგას – სენაგს აქვს უფლებამოსილება ელჩების დანიშვნისა. ბიუჯეგს ამგკიცებს ორივე პალაგა, თუმცა სენაგს აქვს უფლებამოსილება დაუბრუნოს ქვედა პალაგას წარმოდგენილი საკითხები.

გარდა ამისა, უნდა გაიმარდოს და ამაღლდეს რეგიონების როლი. საქართველო სამწუხაროდ, დღესაც რჩება ფედერალურ რესპუბლიკად, ხოლო თბილისი – თავკომბალას სისგემით ფუნქციონირებს. მოქალაქემ თავის სოფელში უნდა მოაგვაროს კომუნალური და სოციალური პრობლემები და არ უნდა ირბინოს სხვა აღმინისგრაციულ ოლქებში. უნდა მოხდეს გადანაწილება ცენგრსა და რეგიონებს შორის, რადგან მიმბული რეგიონალიზმის პრინციპი აფერხებს რეგიონების განვითარებას. ეფიქრობ, აფხაზეთის საკითხიც ამ ჭრილში უკეთესად მოგვარდება.

– ბაგონო ირაკლი, როგორ ფიქრობთ, რა განსხვავება იქნება დღევანდელ პარლამენგში არსებულ უმცირესობასა და უმრავლესობას და ორპალაგიანი სისგემის ქვედა და მედა პალაგებს შორის. როგორც დღევანდელ საპარლამენგო უმრავლესობას შეუძლია დაბლოკოს ნებისმიერი საკითხი, ასევე, სენაგს ექნება დაბლოკვის უფლება ქვედა პალაგის მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი საკითხისა?

– ბუსგად, სენაგის ეს უფლებამოსილება მეეცლის დღევანდელი პარლამენგის „ქუჩურ“ პოლიგიკას, რასაც ხელი „ყვითელმა დემოკრაგებმა“ შეუწყვეს. მე ამედი მაქვს, რომ ერთ ან ორ წელიწადში ჩამოყალიბდება სგაბილური პოლიგიკური გარემო, სადაც არ იქნება მუშგი-კრივი და 80 პროცენგი დეპუგაგებისა იფიქრებს კანონმდებლობის ქმედითობაზე, ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და ქვეყნის განვითარებაზე.

ესაუბრა
ეკა ბუაჩუაშრი.

ფაქტი

ადამიანთა გამტაცებელი ჭიჭიაშვილი შეიბერეს!

23 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისგროს ოპერაგიულმა სამსახურმა, რუს კოლეგებთან ერთად, მოსკოვში დააკავა ადამიანის გამგაგებელთა ორგანიზაციელი დაჯგუფების ხელმძღვანელი, ასმეგის რაიონის სოფელ მაგანის მკვიდრი შოთა (შეფლუ) ჭიჭიაშვილი. ბანდა, რომელსაც შოთა ჭიჭიაშვილი ედგა სათავეში, გარდა ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანების გაგაცვებისა, ეწეოდა ოჯახებზე შეიარაღებულ თავდასხმას, ცეცხლსასროლი იარაღისა და ავგომანქანების გაგაცვებას, და როგორც გუშინ სამინისგროში გამართულ პრესკონფერენციაზე ბაგონმა კოპა ნარჩემაშვილმა განაცხადა, არსებული ოპერაგიული ინფორმაციის თანახმად, იგი აქგიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულშიც.

შოთა ჭიჭიაშვილი და მისი ბანდა, წინასწარი მონაცემებით იმხილება 18 მიმე დანაშაულში.

1999 წლის იანვარში შოთა ჭიჭიაშვილის ბანდამ დაგეგმა საგარეჯოში მცხოვრები ზურაბ პეგრიაშვილის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა. ღამით, ერთ-ერთ ქუჩაზე, ბანდიგები გადაეყარნენ საგარეჯოს პოლიციის ოპერაგიულ ჯგუფს. ავგომობილებიან ეცნობა გაუხსნეს სამართალდამცველებს, შემდეგ კი ააფეთქეს ხელყუმბარა. ადგილზე დაიღუპა საგარეჯოს პოლიციის ინსპექგორი ზაზა ქურხული, დაიჭრნენ პოლიციის თანამშრომლები ივოდი ჭიაბერაშვილი, მამუკა ჯოხაძე, ძაგული გოგოლაური, გელა კოჭლაშიშვილი, აგრეთვე ერთი მშვიდობიანი მოქალაქე. პოლიციელებმა შეგაკეებებისას მოახდინეს შოთა ჭიჭიაშვილის ბანდის ერთ-ერთი წევრის გ. სეხნაშვილის ლიკვიდირება, მეორე ბანდიგი – ი. დობაძიშვილი კი დააკავეს.

1999 წლის ზაფხულში შოთა ჭიჭიაშვილის ბანდამ გაიგაცა მცხეთის რაიონის სოფელ ქვემო ქანდაში მცხოვრები ფირუზ ხოშბაბაევი. მის შვილს, ბიზნესმენ თენგიზ წიკლაურს გამოსასყიდის სახით მოსთხოვეს 5 მილიონი დოლარი. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ მამამისის მოკვლით. ბიზნესმენმა მამის გათავისუფლებაში 200.000 დოლარი გადაიხადა.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ შოთა ჭიჭიაშვილი და მისი ბანდა იმხილება ცოლ-ქმარ რუსეთმოვლების, წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლების, ესპანელი ბიზნესმენების, პარლამენგარ პეგრე ცისკარიშვილისა და მისი საცოლის ანა სურმავას გაგაცვებებში. არის ინფორმაცია, რომ მან გაუკეთა ორგანიზაცია ბიზნესმენ პიგერ შოუს გაგაცვებასაც.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთი „ცხელ-ცხელი“ ინფორმაცია მიაწოდეს ჟურნალისგებს. 25 ივნისს, დილით კახეთის სამხარეო პოლიციისა და თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა პანკისის ხეობაში დააკავეს შოთა ჭიჭიაშვილის ბანდის კიდევ ოთხი წევრი: მერაბ (მუსა) და ელიზბარ ხანგოშვილები, ანზორ გიშკაიეი და ვახგანგ ქვითარაშვილი. ისინი იმხილებიან 1998 წელს ჟურნალისგ გიგა ბაალიშვილის, ბიზნესმენ გონაშვილისა და რუსეთის მოქალაქის მაკიევის გაგაცვებებში.

ხორციელდება ყველა საჭირო ღონისძიება შოთა ჭიჭიაშვილის საქართველოში ექსგრადირებისათვის.

ვალერიან გოგოლაშვილი.

ПРЕЗИДЕНТИ

„ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის ქვეყნის პროგრამა, რომელსაც იმედით შეჰყურებს საქართველოს მოსახლეობა“

(პირველი გვერდიდან)

სიღარიბის დაძლევის და მისი მასშტაბის მნიშვნელოვანი შემცირების საკითხი მხოლოდ საქართველოს არ აწუხებს. დღეს მსოფლიოში 2,5 მილიარდზე მეტი ადამიანი სიღარიბის მდგარს ქვეშოთ ცხოვრობს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, განვითარებული ქვეყნების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა წვენი დროისა და, თუ გნებავთ, ხვალინდელი დღის ყველაზე სიშიში მოვლენის, სიღარიბის დაძლევა გახლავთ.

საქართველოს აქვს იმის რეალური საფუძველი და საშუალება, რომ გახდეს ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყანა, რომელიც შეებრძოლა ამ სენს — საფრთხეს რომ უქმნის დემოკრატიას, დემოკრატიული განვითარების გზას, დემოკრატიულ დირეგულებებს, თვით ადამიანის თავისუფლებას, რაც წვენი ხალხის უმთავრესი მონაპოვარია, სენს, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს სახელმწიფოებრიობას, ქვეყნის დამოუკიდებლობას. ამდენად, დღეიდან აქტიურად უნდა დავიწყოთ პროგრამის განხორციელება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სტაბილურობა. ეს არის უმთავრესი პირობა და არა ის, გამოვძებნით თუ არა საერთო ენას რომელიღაც პარტიასთან. სიღარიბეს თუ დაეძლევთ, საქართველო შეიძლება გახდეს მართლაც სტაბილური ქვეყანა და სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული წვენი ქვეყნის ბედი. ამ თვალზე ბევრი საუბარია, მაგრამ მხოლოდ მოწოდება და ლოზუნგები სტაბილურობის აუცილებლობის შესახებ, თავისთავად, არაფერს ნიშნავს, თუ არ გვექნება სათანადო რეალური პროგრამა. ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ შევძლებთ პროგრამის წარმატებით განხორციელებას, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი ძალებითა და შესაძლებლობით, მით მორის ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის ამოძრავებისა და გამოყენების გზით, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გამოყენებული.

უფრო მეტიც, თუ წვენ შევძლებთ უახლოეს 2-3 წელიწადში რეალური და თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმას ამ პროგრამის განხორციელების ფარგლებში, დარწმუნებული ვარ, ეს იქნება საქართველოს გეოგრაფიული მთლიანობის აღდგენის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. ესე იგი, ქვეყანა გაძლიერდება. ძლიერ ქვეყანას კი შეუძლია ისეთი პრობლემის გადაჭრა, როგორიც არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ქვეყნის არსებული საგარეო-პოლიტიკური კურსის შენარჩუნება არის აუცილებელი პირობა სიღარიბის დაძლევისთვის და სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად. უფრო მეტიც, საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელიც ურთულეს წლებში ჩამოყალიბდა, კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, უფრო ინტენსიური და მეტი შედეგის მომგანი გახდეს. ვგულისხმობ არა მარტო სახელმწიფოებთან, არამედ საერთაშორისო საფინანსო ცენტრებთან, ევროკავშირთან, ნატოსთან და საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა წევრებთან, წვენს მემოდელთან — ჩრდილოეთით, თუ სამხრეთით, მნიშვნელობა არა აქვს — ურთიერთობების გაღრმავებას.

„საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა“ მთლიანად შეესაბამება სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის ამ ეტაპად დებულებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მიმართვაში — „ახალი პროექტი ახალი საქართველოსთვის“. ეს გახლავთ დემოკრატიული საზოგადოების საბოლოო დაფუძნება; ქვეყნის უშიშროების, სტაბილურობისა და ტერიტორიული მთლიანობის უმრუნველყოფა; სახელმწიფოს თანდაცვისუნარიანობის გაძლიერება; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება.

საქართველომ იპოვა თავისი ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში — ამაზე დღეს, ალბათ, წვენი ოპონენტებიც კი ადარ დავობენ — და საერთაშორისო მნიშვნელობის უფუქციები აესრა. ის ფაქტი, რომ ქვეყანა ადაარებულია ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ საკავანძო სახელმწიფოდ, უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის შემდეგომი განვითარების პერსპექტივებს. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირებისათვის აღებული მტკიცე გეზი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიაა.

„ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამა“ მრავალგანზომილებიანი და კომპლექსური სტრატეგიაა, მაგრამ მისი დედააზრი შეიძლება ერთი თვმისათვე გამოითქვას: ეს გახლავთ წვენს ქვეყანაში ლიბერალური გრანსფორმაციის საბოლოო დასრულების პროგრამა. 10 წლის განმავლობაში, ერთთლიანი ძალისხმევით, წვენ დავამკვიდრეთ საბაზრო ეკონომიკა და შევქმენით მტკიცე საფუძველი ეკონომიკური ზრდისთვის. შემდგომი წლების მანძილზე კი უმთავრესი ამოცანა იქნება ეკონომიკური ზრდის დაჩქარება და ამ პირობებში შექმნილი რესურსების სამართლიანი განაწილება მშრომელების ღრმა რეფორმისა და მიმაბმეწონილი ფისკალური პოლიტიკის შედეგად, რაც განაპირობებს სიღარიბის დაძლევას.

ბევრი შეიძლება ვისაუბროთ იმ პრიორიტეტულ მიმართულებებსა და ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება გათვალისწინებულია, მაგრამ პროგრამის მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ იგი ყველა მოქალაქის — შეძლებულის თუ გაჭირვებულის — ინტერესებზე გაანგარიშებული.

პროგრამა მიზნად ისახავს ქვეყანაში სიუალო ფენის ჩამოყალიბების პროცესის ღრმავება-გაფართოებას, სამეწარმეო საქმიანობისთვის ისეთი ხელსაყრელი პირობების შექმნას, რომელიც ჩრდილოეთი ეკონომიკიდან ლეგალურ სექტორში გადმოსვლის რეალურ სტიმულს შექმნის. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ გარემოებას, რომ დაგეგმილი გეგეგს სტაბილურობელობის გადამუშავება და განახლება ქვეყანაში არსებული რეალობის გათვალისწინებით. ეჭვგარეშეა, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვანად უნდა შემეირდეს ჩრდილოანი ეკონომიკის წილი, ადეკვეთის კონტრამანდა, რომელიც შეუთავსებელია ნორმალური ქვეყნის ცხოვრების წესებთან.

თუ ადამიანებს არ მოეცემათ შრომის სიუალუდა და შესაბამისი სამდგური, ქვეყანას მომავალი არ ექნება. ამდენად, პროგრამაში ხაზგასმულია შრომითი პოლიტიკის დახვეწის, შრომის ბაზრის მოქნილობის უმრუნველყოფის აუცილებლობა. მკვეთრად არის ხაზგასმული კვალიფიციური და დაკვალიფიცირებული მიდების უმრუნველყოფის აუცილებლობა, რადგან დიდ ეკონომიკურ ბერეებზე საუბარი გასათვალის რეფორმის გარეშე წარმოუდგენელია, ამიგომაც განათდების რეფორმის განხორციელება უმნიშვნელოვანესი წინაპირობა გახლავთ მომავალი განვითარებისთვის.

წვენ პირველ წლებში ასე არ ვუფრეხდით განათდების რეფორმას. ახლა კი მივედით იმ დასკვნამდე, რომ, თუ პროდუქტის შექმნა და პროდუქტის სიუხვე გვაინტერესებს, უწინარეს ყოვლისა, უნდა მივხედოთ განათლებას, მედიცინას, ანუ იმ დარგებს, რომლებზეც, საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებული იქნება ის წარმატებები, რომლებიც უნდა მოიპოვოს ქვეყანამ პროდუქციის შექმნის თვალსაზრისით.

პარალელურად გათვალისწინებულია საპენსიო სისტემის ინსტიტუციური და სტრუქტურული გაუმჯობესება, მშარდი ინვესტიციები ჯანმრთელობის დაცვის დარგში. ყურადღება გამახვილებულია სოციალურად დაუცველი ჯგუფების უსაფრთხოების უმრუნველყოფაზე, სოციალური დახმარებების ბრდასა და ამ დახმარებათა წახალისებისათვის გამიზნულ დონისძიებათა განხორციელებაზე. ამაზე ყურადღებას ვამახვილებ იმიგომ, რომ მოსახლეობამ უნდა იცოდეს, თუ ვისთვის არის საჭირო ყოველივე ეს, მოწვენებითია, თუ ნამდვილი ეს პროგრამა.

პროგრამა გულისხმობს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შეუვალობას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას. სავსებით სწორად არის გამოკვეთილი ეკონომიკის პრიორიტეტული დარგები: ენერგეტიკა, გრანსპორტი და კომუნიკაციები, მრეწველობა, გურიაში, სოფლის მეურნეობა. ეს დარგები ყველაზე სწრაფი გემპაით ვითარდება და შემოსავლები ყველაზე სწრაფი გემპაით შემოდის ქვეყნის ბიუჯეტში ამ დარგებიდან. ამავდროულად საგანმანათლო ბუნებრივი გარემოს დაცვის საკითხებიც, რაც დღეკანდელ დღეს მომავალ თაობათა საარსებო ინტერესს შეეხებიმება.

დაფიქთიად მიმაჩნია, რომ პროგრამაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ისეთ პერსპექტიულ მიმართულებას, როგორიც გახლავთ ახალი ტექნოლოგიები, მათი დანერგვა, ციფრული რევოლუცია. წვენ სწორედ რევოლუციას გეგმირება, რადგან საკმაოდ სერიოზულად ჩამოვრჩებით ამ სფეროში. მართალია, ბევრი რამ გაკეთდა ამ ბოლო დროს, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია (უნდა აღვნიშნო, რომ ბაგონი თარხან-მოურავი ინიციატივიანად შუშობდა ამ სფეროში, მაგრამ მას, სამწუხაროდ, სხვა სამსახურში მოუწია გადასვლა და ახლა იქ უნდა გეიზეენოს, თუ რას ნიშნავს ციფრული რევოლუციის იმ დარგში, რომლისთვისაც იგი უშუალოდ აგებს პასუხს). მნიშვნელოვანია უნდა მიენიშნოს ქვეყნის კომპიუტერიზაციის და იმას, თუ რა ადგილი უნდა დიიკავოს საქართველომ ელექტრონულ ყოველსმომცველ პროცესში ისე, რომ საკუთარი მიდწეევები, საკუთარი გრანდიეები, ეროვნული მიდწეევები, რომლებიც დაგროვებულა საუკუნეების, ათასწლეულების განმავლობაში, კი არ დაკარგოს, არამედ უფრო განავითაროს და აალორძინოს. ეს არის წვენი მიმანი ელექტრიზაციის ურთულესი პროცესის მიმდინარეობის დროს.

გათვალისწინებულია გადაჭრილი ზომების მიღება კორუფციის წინააღმდეგ, რის გარეშეც წარმოუდგენელია არათუ პროგრამის განხორციელება, არამედ, საერთოდ, სახელმწიფოს ნორმალური ფუნქციონირება. იტალიასშეა კორუფციის დაძლევა როგორც ადმინისტრაციული მეთოდებით, ისე სტრუქტურული და სისტემური რეფორმებით, მათ მორის, მმართველობის, მართლმსაჯულებისა და სამართალდაცვის სისტემის რეფორმირების გზით. უნდა დავეთანხმო ბოსაბრეს, რომ არ შეიძლება მარტო ადმინისტრირების იმედი გვქონდეს. ადამიანი, რომელიც ქმნის პროდუქციას, დაინტერესებული უნდა იყოს ეროთერთობით სახელმწიფოსთან და არა რომელიმე ინსპექტორთან, რომელიც მალავს მის ფულს. ამის შედეგად კი მოგებული არც სახელმწიფო რჩება და არც შეწარმე. ამასთან, მმართველობის რეფორმა არ დაეფუძნება ეკონომიკური საზღვრები იქ მთავრდება, სადაც მისი ფული წყვეტს ფუნქციონირებას. ეს კი განაპირობებს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ კრიზისსაც, რაც, თავის მხრივ, ახალისებს სეპარატიზმს.

ქართულ სამეურნეო ორგანიზმში „უცხო სისხლის“ (ანუ უცხოური ფულის) დომინირების გამო გამხელებულია სწორი დიაგნოზის დასმა, ფულის მასის განსაზღვრა და მისი მეშვეობით ეკონომიკაზე ქმედითად ზემოქმედება. ყოველივე ეს კი ამცირებს ეროვნულ წარმოებას, სამეგი ბიზნესებს ეროვნულ წარმოებას, სამეგი ბიზნესებს ეროვნულ ბანკებს, ანუ ეროვნულ ეკონომიკურ ინსტიტუტებს, ეროვნულ ეკონომიკურ ინსტიტუტებს, ეროვნულ ეკონომიკურ ინსტიტუტებს,

ადამიანი დროში

ერისკაცი, მამულიშვილი

გივი ცინცაძე თვალსაჩინო მეცნიერი და ღირსეული აღმზრდელი

ქიმიურ მეცნიერების ეროვნული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ახალგაზრდა მკვლევართა და სპეციალისტთა მრავალი თაობის აღირსეულ აღმზრდელს, მეცნიერების ორგანიზაторსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გივი ცინცაძეს დაბადებიდან 70 და საშეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობიდან 45 წლისთავი შეესრულდა. იგი დაბადა 1933 წლის 18 აპრილს, თბილისში, პედაგოგების ოჯახში. მამა ვასილ ცინცაძე 39-იანი წლების პოლიგიკურ რეპრესიებს ემსხვერპლა. მიუხედავად უმძიმესი წლებისა, მაღალი სულიერი და მორალური ღირებულებების გრადიციებზე აღზრდილმა საშუალო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სტუდენტობის წლებში გამოელინდა მისი ნიჭიერება და სწრაფვა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისაკენ. უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1957 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის სპეციტრული და რენტგენოსტრუქტურული ანალიზის ლაბორატორიაში მეცნიერ თანამშრომლად, აქ მის მიერ შესრულებულ იქნა მნიშვნელოვანი სამუშაოები გეოქიმიისა და კრისტალოქიმიის დარგში. წარმატებები მიღწეული იყო ახალგაზრდა მეცნიერის მჭიდრო კონტაქტებით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი ფიზიკის კათედრის და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის კრისტალოქიმიის ლაბორატორიის მეცნიერებთან, რაც დღემდე წარმატებით არის შენარჩუნებული.

1960 წელს ცნობილი ქიმიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ დიმიტრი ერისთავის რეკომენდაციით გივი ცინცაძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტზე ასპირანტად ჩაირიცხა. ერთი წლის შემდეგ ასპირანტურის კურსის გასაგრძელებლად მოსკოვში გაიგზავნა ნიკოლოზ კურნაკოვის სახელობის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის კრისტალოქიმიის ლაბორატორიაში, სადაც პროფესორ მისხელ პორაი-კოშაცის ხელმძღვანელობით დაასრულა მუშაობა საკანდიდატო დისერტაციაზე კოორდინაციული ნაერთების კრისტალოქიმიის დარგში, წარმატებით დაიცვა იგი 1965 წელს. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაბრუნებისთანავე პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად, გივი ცინცაძე მეცნიერ მუშაკთა ჯგუფთან ერთად შეუდგა ფართო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას მის მიერ შექმნილი კრისტალოქიმიის და რენტგენოსტრუქტურული ანალიზისა და ბიოორგანული ქიმიის ლაბორატორიებში ლითონების არაორგანული და კოორდინაციული ციანიგური, თიოციანიგური და სელენოციანიგური ნაერთების სინთეზისა და აგებულების პრობლემებზე. 1968 წელს სადოქტორო დისერტაციის დასამთავრებლად იგი მიელინებულ იქნა გარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანული ქიმიის კათედრაზე, სადაც კოორდინაციული ქიმიის დარგის გამოჩენილ მეცნიერებთან პროფესორ ანდრეი გოლუბსა და პროფესორ ვიქტორ სკოპენკოსთან ჭეიდრო ურთიერთთანამშრომლობით საფუძველი ჩაუყარა უკრაინელი და ქართველი ქიმიკოსების ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს, რასაც სულ ახლახან უკრაინაში საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტის დროს გარას ფართო და მასშტაბურია მისი მეცნიერული მოღვაწეობის დიაპაზონი. მის მიერ შესრულებული სამეცნიერო კვლევის შედეგები მსოფლიო ლიტერატურაშია შესული და ფართოდ არის ციტირებული როგორც სამამულო, ასევე, საზღვარგარეთულ გამოცემებში. ეს შრომები დიდ ინტერესს იწვევს ქიმიის, მედიცინასა და სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტების ფართო წრეებში, რადგანაც მეცნიერის მოღვაწეობა არა მარტო ფუნდამენტური კვლევის დარგზე ვრცელდება, არამედ იგი გამოყენებით ხასიათსაც აგარეს.

გივი ცინცაძისა და მის მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ბაბაზე თანამედროვე კოორდინაციული ქიმიის არსებითად ახალი დარგი ლითონნების ფსევდოპალოგენიდური კომპლექსების ქიმია შეიქმნა. მან საფუძველი ჩაუყარა ახალ და პერსპექტიულ მიმართულებას – ლითონნების ბიოარაორგანული ნაერთების კრისტალოქიმიას. ამ მიმართულებამ, რომელიც წარმატებით განვითარეს გივი ცინცაძემ და მისმა თანამშრომლებმა, საერთაშორისო აღიარება ჰპოვა.

გივი ცინცაძეს სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგები თავმოყრილია ათეულობით ნაშრომში, რომელთაგან 7 მონოგრაფია, 11 სახელმძღვანელო და 7 საავტორო მოწმობაა. მეცნიერის მონოგრაფიები გამოცემულია გერმანიაში, რუსეთსა და კიევში, ხოლო სტატიები დაბეჭდილია მსოფლიოს მრავალ პოპულარულ სამეცნიერო ჟურნალში. კოორდინაციული ქიმიის სფეროში მესრულებული ნაშრომების ციკლისათვის „ფსევდოპალოგენიდების ქიმია“, 1990 წელს გივი ცინცაძემ უკრაინელ და გერმანელ მეცნიერებთან ერთად უკრაინის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა, ხოლო 1998 წელს ნამრომლებიც აფხაზეთიდან იძულებით დევნილი კონტინგენტისაგან შედგება და რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ აღმშენებლობითი საქმიანობის წარმატებითი განხორციელების პირობაა. ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა აგრეთვე, იავნე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, სადაც ათეული წლებია კრისტალოქიმიიდან ლექციების კურსს კითხულობს.

დაუღალავად იღვწის აკადემიკოსი გივი ცინცაძე როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეგრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კომპლექსური ნაერთების ქიმიის ლაბორატორიის გამგე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის არაორგანული ნაერთების ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორიის გამგე. მისი თავდადებული სამსახური ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ მრავალი ორდენითა და მედლითაა აღნიშნული. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 75-ე წლისთავის აღნიშვნის დღეებში იგი ღირსების ორდენით დაჯილდოდა. სულ ახლახან აკადემიკოსი გივი ცინცაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი საბჭოს მიერ გიორგი ნიკოლაძის მედლითაც იქნა დაჯილდოებული.

რამაზ ხუროძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი;

გიორგი ცინცაძე,
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი;

თეიმურაზ ანდრონიკაშვილი,
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი.

ჩაუმძრალი ვარსკვლავები

„საბჭოთა ელა ფიცჯერალდის“ ორი ცხოვრება

გუშინ

სვანეთის უბანს ახსოვს მისი სილაღე, სიმღერა და სიცილ-ეკისკისი...

დედის ხათრით პაგიობდნენ ცელქობას, გაკვეთილების გაცდენას, გაკვეთილების არცოდნას...

ელენე ჩოხელი – უნიჭიერესი ქართველი მსახიობი და მომღერალი, პირველი ჯაზმენი საქართველოში ხომ ყველას უყვარდა – სვანეთის უბანი კი არა, მთელი თბილისი, მთელი საქართველო პაგიეს სცემდა. ბოდა, ციცქნა გიულის ეამაყებოდა მისი შეილობა, მაგრამ რა ექნა – კალაპოგს და ყალიბს ვერა და ვერ იგანდა...

ასეთი დარჩა დღემდე...

„სკოლისკენ რომ მივდიოდი, კათოლიკური ეკლესია უნდა გამევლო. ეკლესიიდან ხმირად მოდიოდა გალობის ხმები. დამაინტერესა. შევიხედე ერთხელ, მეორედ, მესამედ... გამბაოგნა გალობამ... შევიპარე ჩუმად და, ბიჭურად თმაშეკრეჭილი, დავდექი გუნდში. ავყევი, ძალიან მომწონდა. ეს სიტუაცია, დიდხანს არ გაგრძელდა – დედაჩემისთვის ვიღაცას ეთქვა, ელიკო, მგონი, შენი ქალიშვილი სკოლის მაგივრად ეკლესიის გუნდში დადისო. მოვიდა დედაჩემი, წამიყვანა მინ და სასტიკად დამსაჯა – დანაყა აგური და ნაფუხვენებზე მუხლებით დამაყენა. საბრალო დედაჩემი... მერე დიდხანს იეონებდა ამ ამბავს. რა უნდა ექნა? გრძნობდა, მისი გენი რომ ვიყავი, სიმღერა რომ გახდებოდა ჩემი ბედისწერა.... ჩამირთო ერთ დღეს ძველთაძველი რადიოლა და სწორედ აქ მოვუსმინე პირველად ამერიკული ჯაზის „ვარსკვლავებს“ ელა ფიცჯერალდს, კაუნტ ბეისის ბიგ ბენდს... გამაგიჟეს, გადამრიეს... დავინიმნე გადმოცემის დრო და რადიოსთან ვიჯექი საათობით.

* * *

უკვე „ლღობა“ დაწყებულია, უკვე შეიძლება ნელ-ნელა შეაპარო სცენის ამერიკული რიგმები. ჩვენი მომავალი „ვასრკვლავი“ უკვე დადის პლეხანოვის „ხაბაჩი პერეულოკში“ მღეაღრე კლუბში, უკვე ეცნობა კოგე კერესელიძესა და მის ექვსსიმაინ გიგარას, უკვე მღერის „ბოსანოვას“, ცეცხლსა და ენერგიას აფრქვევს სცენაზე და მთელ დარბაზს იყოლიებს. მარეხ გოძიაშვილის, ქეთო ჯაფარიძის, მერი მილდელის თაყვანისცემა თაყვანისცემამდე, მაგრამ გიული სულ სხვა გზას იჩრეეს – „ეკეპის“ ჯაზში მიდის სოსო ტუღუშის მიწვევით და მთელ საბჭოთა კავშირს აოცებს განუმეორებელი ვოკალით, არგასგიგმით, თავისუფალი (ჯერაც ჩვენთვის მიუღებელი) მანერით.

მალე თბილისში ჩამოდის კომპოზიგორი და მუსიკოსი გიორგი გაბესკირია და ჯაზ-ორკესგრს აყალიბებს. აბა, უკეთესს სხვას ვის მიიწვევდა და გიულიც გაბესკირიასთან გადადის. სწორედ აქ მოიგანა რეზო ლაღიძემ შემდეგში

უკვე უპოპულარესი სიმღერა თბილისზე. პირველად კი სწორედ გიული ჩოხელმა და ზურაბ რეხილაძემ იმღერეს „ზნის და ვარდების მხარეო“ „გოფოლექტის“ ბაღში, მაგრამ, მოგვიანებით, ორკესგრი საგასგროლოდ რომ წავიდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში, „სიმღერა თბილისზე“ უკვე ჩაწერილი დახვდათ დები ჩაფიჩაძეების მიერ.

გიულის ნიჭს სხვა სივრცეები სჭირდება, მის ჯონებას სიახლეებისკენ სწრაფვა ასამრდოებს. თბილისში ჩნდება აფიშები – **გვეწვევა ედი რობნერი, ჩამოდის ნამდვილი ჯაზმენი.**

„დედაჩემი მეუბნება, მიდი, ანასე მენი შესაძლებლობა, „ლექსმი“ ცხოვრობს სასგუმრო „საქართველოში“, იქვე როიალიე დგას, მოგისმენს და, ვინ იცის, იქნება მოეწონო კიდეეო. მივედი, მომისმინა და ჯირდაპირ მითხრა, გინდათ ჩემს ორკესგრში იმღეროთ? რა თქმა უნდა-მეთქი. მაშ, თქვენ უკვე ჩვენი სოლისგი ხარო! დამავლო ხელი და წამიყვანა ბაქოში, გავდივარ კონცერგზე, აყვანილი მყავს მთელი დარბაზი და, თურმე, ზურიკო ანჯაფარიძე აგერ არ ზის?! გასგროლებზე ყოფილა ბაქოში. ამოვარდა სცენაზე. შენ გენაცვალე, ელიკოს გოგო ხარ შენაო?..

აქედან წავედი, წავედი და წავედი... რუსეთში – მოსკოვში, ლენინგრადში.....

მახსოვს, ახალი წელი დგება, ხრუშჩოვი გამოდის გელევიზიით და ახალ წელს ულოცავს საბჭოთა ადამიანებს. ამ მილოცვას მოჰყვა „ოოლუბოი ოგონიოკი“ და ჯაზური სიმღერა „ბისგერ პაგანინი“ ჩემი შესრულებით. იცით, ამას რაგომ გიყვებით? თურმე „ოგონიოკს“ თვალს აღევნებს ცნობილი კომპოზიგორი და პიანისგი ბორის ტარიჩკოვი (ავგორისა სიმღერისა „ყველაფერი მეუძლიან მეფეებს“ აუგაჩოვას შესრულებით). ბოდა, ეს ჩვენი ბორია ისე „ოწეულა“ ჭკუაზე, რომ მიუგოვებია დანიმნული, ხელმოსაწერად გამზადებული საცოლე და მე მთხოვა ხელი... 14 წელიწადი ვცხოვრობდით ერთად და დინარაც მისგან მყავს – ჩემი უნიჭიერესი გოგონა, რომელიც ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს.“

* * *

გასულ საუკუნის სამოციანი წლებია, მოსკოვში მიმდინარეობს შესარჩევი კონკურსი სოოგის საერთაშორისო მუსიკალური ფესგივალისთვის. მთელი საბჭოთა კავშირის ესგრადის „ვარსკვლავები“ ცდიან ბედს. „ეგეპიც“ აქ არიან – კობმონი, ედიგა პიეხა, მაიკ კრისგალინსკაია... კონკურსს ლეონიდ უგიოსოვი უძღვება. გიული და ბორია რიჩკოვი ამ შენობას ეშობი ცხოვრობენ, ქმარი აჩქარებს გიულის, ისიც ჯერ ბავშვს აძინებს, მერე ფაცხა-ფუცხით იცვამს და სულ ბოლო – მეცამეგე ნომრით გადის სცენაზე, საოცრება ხდება: ლეონიდ უგიოსოვი აცხადებს კონკურსის შედეგებს: **პირველი პრემია – გიული ჩოხელი, მეორე – პრემია გიული ჩოხელი, მესამე პრემია – გიული ჩოხელი!** უნდა გენახათ ცხეირჩამოშვებული „ვარსკვლავები“!

 წინ პოლონეთი და სოპოგა, უდიდესი საერთაშორისო მუსიკალური ფესგივალია, რომელშიც მსოფლიოს 55 ქვეყნის მომღერლები მონაწილეობენ. და, იცით, რა მოხდა, ახალგაზრდები, დღევანდელო თინეიჯერებო, როკზე და ჯაზზე აცრილებო? მთავარი პრიზი ჩვენმა თანამემამულემ, ერთ-ერთმა პირველმა ჯაზმენმა და საბჭოთა ესგრადის რეფორმაგორმა გიული ჩოხელმა მოიპოვა!.. და, ცხადია, უმარავი თაყვანისმცემელიც შეიძინა.

„გიული ვულკანია, რომლისგანაც ყველაფერს უნდა ელოდე“, ამბობს კომპოზიგორი ანდრეი პეგროვი. **„მოიგო რა სოპოგის საერთაშორისო ფესგივალის მთავარი პრიზი, გიული ჩოხელმა უცებ მოიპოვა გიული – „საბჭოთა ელა ფიცჯერალდი“ და ევროპის ესგრადის მომღერლთა საუკეთესო ხუთეულში შევიდა“,** – წერს პოლონეთის პრესა.

ეს გიული ჩოხელის დრო იყო: 1966-68 წლებში ჯაზური მუსიკის სამი საერთაშორისო ფესგივალის (მოსკოვი, პრაღა, გალინი) გამარჯვეული, გარდა ამისა, სხვადასხვა რანგის ფესგივალისა თუ კონკურსის მრავალგზის ლაურეგი.

საეს გარდა მუსიკის, კერძოდ, ჯაზის საეციალისგთა ერთსულოვანი აღიარებით, **ყოფილ საბჭოთა კავშირში გიული ჩოხელი თითქმის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჯაზურ მომღერლად.**

– ყველას მოსწონს ეს თქვენი ჯაზით გაგაცება, ეს თქვენი თავისუფალი მანერა შესრულებისა? – ეკითხების გიულის.

– არ დაუკლიათ „გალახის სროლა“. ასეც კი დაწერეს ერთგან, ეს რა საქეეყნოდ გამოსაჩენიაო?! მაგალითად, კარლოვი ვარშა, მიკროფონი გამომრთეს სიმღერის შესრულებისას...

– უცხოური კარგია, მაგრამ ქართული მელოდიები ხომ არ გრჩებათ გვერდზე?

– რას ამბობთ! მე ხომ ქართულ მელოდიაზე გავიმღერე და ახლაც ჩემს რეპერტუარში ჩვენი კომპოზიგორების სიმღერები ჭარბობს. სხვათა შორის, ახლახან ცნობილმა მაესგრომ გუსგავ ბრომმა ჩემს შესახებ ფილმი გადაიღო, მასში ჩემი 17 სიმღერა შეეიდა (უმეგესობა – ქართული). ავგორს ფილმის სათაური ვაკა ამპარაშვილის სიმღერიდან აუღია – „მშე ჩემი კარგი მეგობარია“.

– ამბობთ, გეარიან პონორარს იღებთ?

– ნეგავი ეგრე იყოს!.. ჩეხოსლოვაკიაში „სუპრაფონის“ გრამფირფიგების ფირმამ ჩაწერა ჩემი დიდი ფირფიგა, კარგი პონორარიც გადამიხადეს, მაგრამ სასგუმროს ნომერში შემოვიდა კაცი (ცხადია, უმმროების თანამმრომელი), რომელმაც თავი „გოსკონცერგის“ წარმომადგენელად გამაცნო, მომაწერინა ხელი რაღაც საბუთზე და მთელი ფული წაიღო. ჩავედი მოსკოვში და ორი თვის ხელფასი რომ მომცეს დაუქვითავად, ამითაც ბედნიერი ვიყავი...

დღეს

ბანმორება ბორის რიჩკოვთან, შემდეგ კი მისი გარდაცვალება, წასვლა ამ ქვეყნიდან უმძიმესი დარტყმა იყო გიულისთვის. ახლა ძნელია გახსოვა, სულმი ხელის ფათური. ვგრძნობ, რომ უჭირს საუბარი ამ თემაზე, ვგრძნობ, რა ღრმა კვალი გაუვლია მის არსებაში ამ ნიჭიერ კაცს და ყურადღებიან შეუღლეს, ერთადერთი ქალიშვილის მამას....

ეეეპ, რაც იყო, იყო...

„ფერე, ჩემს ბეღს რა ვუთხარი, გადავეკიდე ვიღაც საქმაოონისგს – გერმანი ერქვა. ყოფა მიგირა, რაც მქონდა რუსეთში – სახლი, აგარაკი, ყველაფერი წაბართვა. ჩამოვედი თბილისში, გახურებული სამოქალაქო ომია, რა ექნა, ბრავითარი სახსარი არ მაქვს – აქეთ ქალიშვილი, იქით ავადმყოფი დედა... ვთხოვე ოთარ ლითანიშვილს, ბანმორების ბორის რიჩკოვი (ავგორის სიმღერა „ბანმორების ბალადა“) ... ეს ... ...

● ერთად იბძოლებენ ტერორიზმის წინააღმდეგ
● შეიარაღებული შეტაკებები ერაყში
● ჩინეთმა შეძლო პენტომონიასთან გამკლავება

ჯორჯ ბუში შეხვდა ფერვეზ მუშარაფს

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა სამშაბათს მიიღო პაკისტანის ლიდერი ფერვეზ მუშარაფი. ბუში დიდად ემადლიერება თავის პაკისტანელ კოლეგას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელშეწყობისათვის და იგი ისლამაბადს დაპირდა 3 მილიარდი დოლარის გამოყოფას სამხედრო და ეკონომიკური დახმარების სახით. ამერიკის პრეზიდენტის პაკისტანისადმი კეთილგანწყობილების დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ მუშარაფი გახდა სამხრეთ აზიის სახელმწიფოების პირველი მეთაური, რომელიც ბუშმა მიიწვია კემპ-დევიდში შდებარე პრეზიდენტის აგარაკზე.

ამერიკისა და პაკისტანის ლიდერების ახლო მეგობრული ურთიერთობისათვის ხაში უნდა გასვას იმასაც, რომ ისინი ჟურნალისტთა წინაშე წარდგნენ უპალსგუხოდ.

ბუშმა, რომელიც მუშარაფს ემადლიერება იმის გამო, რომ მან პაკისტანის მოსახლეობის უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ, მაინც დაუჭირა მხარი ამერიკელებს თალიბებისა და „ალ-ყაიდას“ წინააღმდეგ ბრძოლაში, უწოდა მას „გაბედული ლიდერი“ და აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს „ტერორის წინააღმდეგ ომში პაკისტანზე უკეთესი პარტნიორი არ ყავს“.

ცდილობდა რა ვაშინგტონის დახმარებას, მუშარაფმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური რისკი გასწია და ბუშმაც მადლიერების ნიშნად განაცხადა, რომ დაპირებულ 3 მილიარდ დოლარს ისლამაბადი უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში მიიღებს.

როგორც ჩანს, კონგრესი დაკმაყოფილებს თეთრი სახლის თხოვნას, თუმცა კაპიტოლიუმის ბორცვზე არაერთ პრეტენზიას გამოთქვამენ მუშარაფის მისამართით. კერძოდ, ვაშინგტონის შეშფოთებას იწვევს პაკისტანში აბომური ბომბის არსებობა, აგრეთვე ის, რომ ისლამაბადმა მიპყიდა ბირთვული ტექნოლოგიები ჩრდილოეთ კორეას. კონგრესმენები არც იმას ივიწყებენ, რომ გენერალი მუშარაფი, რომელიც ხელისუფლების სათავეში 1999 წელს მივიდა სამხედრო გადატრიალების მეშვეობით, არ ჩქარობს მართვის დემოკრატიული პრინციპების რეგავრარებას.

ამერიკელი პოლიტიკოსები ისლამაბადს ხშირად შეახსენებენ, რომ პაკისტანი იყო ერთი იმ მცირერიცხოვან სახელმწიფოთაგან, რომლებმაც ცნეს თავის დროზე თალიბების რეჟიმი.

და ბოლოს, პაკისტანს იმის გამოც აკრიტიკებენ, რომ ეს ქვეყანა აქტიურად არ მოქმედებს მის ტერიტორიაზე მოკალათებული თალიბებისა და „ალ-ყაიდას“ წევრების ძებნისათვის, რომლებიც ამერიკელებს გამოექცნენ ავღანეთიდან, თუმცა, კარაჩისა და პაკისტანის სხვა ქალაქებში დაკავეს უსამა ბინ ლადენის რამდენიმე თვალსაჩინო თანამებრძოლი.

ამერიკის სპეცსამსახურები ეჭვობენ, რომ მოგიერთი მათი პაკისტანელი კოლეგა სიმპათიითაა გამსჭვალული რადიკალური ისლამისტების მიმართ და დიდად არ იწუხებენ თავს მოსაძებნად.

ბუშთან შეხვედრის შემდეგ მუშარაფმა განაცხადა, რომ ბინ ლადენი, ალბათ, ცოცხალია და იგი შესაძლოა იმალებოდეს პაკისტან-ავღანეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

მან აღნიშნა, რომ ცოტა ხნის წინათ სამთავრობო ჯარები „ბოლო ასი წლის განმავლობაში პირველად“ შევიდნენ ჩრდილო-დასავლეთის სასაზღვრო პროვინციის მთიან რაიონებში, სადაც დაუმორჩილებელი გოშები ცხოვრობენ, რომლებიც პრაქტიკულად არ აღიარებენ ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებას. სავარაუდოდ, ბინ ლადენი სწორედ იქ უნდა იმყოფებოდეს.

მაგრამ როცა ჟურნალისტებმა მუშარაფს დაუსვეს კითხვა ამის თაობაზე, პაკისტანის პრეზიდენტმა უპასუხა: „თქვენზე მეტი არც მე ვიცი“. თუმცა, დასძინა, რომ ახლა, როცა ჯარები შევიდნენ სასაზღვრო რაიონებში, შესაძლებელი იქნება იქ მოკალათებული „ალ-ყაიდას“ ყველა წევრის დაკავება.

ამერიკის ოლიტი

ლიუბოვ შევცოვა.

ახლა კრასნოდონელ იაგაკქვეშელთა დიდუპვამი ადანამაულებენ... ფადეევს

ვიქტორ გრეგიაკოვიჩი 17 წელიწადი ითვლებოდა მოდალბეგდ.

სერგეი გიულენინი.

ლების დროს შედგენილ გეოლოგიურ რუკებს, მახგებისა და წიაღისეულის ძიების ადგილების გეგმებს.

კითხვა: თქვენი თანამშრომლობა პოლიციასთან გაფორმებული იყო?

პასუხი: დიახ, მახაროვმა შემთავაზა დამეწერა ხელწერილი და მეც დავწერე. ამ ბარათში აღვნიშნე, რომ მე გური ფადეევი ვეკისრულობ ვალდებულებას დავეხმარო პოლიციელებს პარტიზანების გამოვლენაში.

მთავარი პროფოკატორი

მამი გაუმართლათ – არ დაუსვრეგიათ. სწორედ ომის დასრულების შემდეგ, დაახლოებით 1950 წლამდე, სგალინი საოცარ ლმობიერებას იჩენდა ხალხის მგრეგებისადმი. 1948 წლის 6 მარგს სსრ კავშირის სახელმწიფო უმაშროების სამინისგროსთან არსებულმა საგანგებო თათბირმა გური ფადეევს ღალგანსათვის მიუსაჯა 25 წლის პაგიმრობა, გიორგი სგაცენკოს კი – 15 წელი (დანარჩენ 14 განსასჯელს, რომლებიც ამ საქმით გადიოდნენ, 25-25 წლის პაგიმრობა მიუსაჯეს).

მაგრამ ეს დასასრული არ გახლავთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი ძალზე ბანალური იქნებოდა.

1954 წელს, როცა ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა, „მოღალგეთა საქმე“ თავიდან ბოლომდე გადაისინჯა. მნიშვნელოვანი დეგალი: განაჩენი უცელი დაუგოვეს ყველას, ერთი კაცის – სგაცენკოს გარდა. მას ისედაც ყველაზე მეირე ვადის პაგიმრობა ჰქონდა მისჯილი, ახლა კი, სასჯელი კიდეე 5 წლით შეუმეირეს. რაგომ? სამხედრო პროკურაგურის კულუარებში გადაწყვიგეტეს, რომ უმეროსი სგაცენკო მაინც არ ყოფილა ახალგაზრდა გვარდიელების გამეცმი.

საქმის მასალებიდან: „1946 წლის 4 ოქგომბრის დაკითხვაზე სგაცენკომ დანაშაული აღიარა, თუმცა, მოგვიანებით უარყო თავისი ჩვენება. იგი ამგკიცებდა, რომ ახალგაზრდა გვარდიელების დაპაგიმრება დიიწყო კარგა ხნით ადრე, სანამ იგი მამას მოუყვებოდა მათ ამბავს. მსჯავრდებული სგაცენკოს მამის ჩვენებიდანაც არ ჩანს, რომ „ახალგაზრდა გვარდიის“ წევრების დაპაგიმრების მიზეზი იყო ის მონაცემები, რომლებიც მას ვაეგმა მიაწოდა... ამ საქმის არც ერთ ბრალდებულს არ აღუნიშნავს, რომ ბურგომისგრის ვაჟს პოლიციისათვის ეცნობებინოს რა-

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 164.

ახალი ფაქტები

8. ფადეევის ჩვენებიდან (დაპაპაგიმრეს 1946 წლის 28 სექტემბერს):

„მას შემდეგ, რაც პოლიციამ დამავალა გამომეკითხა პირები, რომლებიც ავრცელებდნენ „ახალგაზრდა გვარდიის“ ფურცლებს, რამდენჯერმე შევხვდი პოლიციის უფროსის მოადგილეს მახახროვს. ერთ-ერთ დაკითხვაზე მახაროვმა მკითხა: „პარგიზანებიდან რომელმა გადაბირა თქვენი და ალა?“ მე ამის შესახებ ვიცოდი დედაჩემის ნაამბობიდან და მახაროვს დავუსახელე ვანია ზემნუხოვის გვარი, რომელიც ნამდვილად სთავაზობდა ჩემს დას გამხდარიყო იაგაკქვეშა ანგიფაშისგური ორგანიზაციის წევრი. მე მას ვაცნობე, რომ კოროსგილიოვის ბინაში (იგი ოლეგ კოშევოის ბიძა იყო – **რედაქციის შენიშვნა**) უსმენენ მოსკოვის რადიოგადაცემებს კოროსგილიოვის და ელენე კოშევაია და მისი ვაეი ოლეგი, რომელიც იწერდა „სოვინფორმბიუროს“ ცნობებს.

8. ფადეევის დაკითხვის ოქმიდან:

კითხვა: რა საქმიანობას ეწეოდით ოკუპაციის დროს კრასნოდონში?

პასუხი: ვმსახურობდი გერმანიის დირექციონში გეოლოგად და ვხამავდი საბჭოთა ხელისუფლების დროს შედგენილ გეოლოგიურ რუკებს, მახგებისა და წიაღისეულის ძიების ადგილების გეგმებს.

კითხვა: თქვენი თანამშრომლობა პოლიციასთან გაფორმებული იყო?

პასუხი: დიახ, მახაროვმა შემთავაზა დამეწერა ხელწერილი და მეც დავწერე. ამ ბარათში აღვნიშნე, რომ მე გური ფადეევი ვეკისრულობ ვალდებულებას დავეხმარო პოლიციელებს პარტიზანების გამოვლენაში.

„ჩვენ შემთხვევით ჩავვარდით“

ფადეევი მაინც ვადამდე გაათავისუფლეს. მისჯილი 25 წლის ნაცვლად მან მხოლოდ 10 წლის პაგიმრობა მოიხადა. ნასამართლობა მას მოუხსნეს, თუმცა რეაბილიგაციაზე უარი განუცხადეს. ასე ერთი წლის შემდეგ ვადამდე გაათავისუფლეს ბანაკიდან.

დროზე ადრე გათავისუფლების მანსი ფადეევსაც ჰქონდა, რომელსაც მუამდგომლობდა უამრავი ნათესავი, მეზობელი თუ ნაცნობი. ისინი ამგკიცებდნენ, რომ ყმაწვილი იძულებული გახდა ელიარებინა დანაშაული გამოძიების სანგიკი წნეხის შემოქმედებით – სხვაგვარად იმ დროს არ ხდებოდა. ახალგაზრდა გვარდიელების საქმეში ეძებდნენ საამედო „განგვების ვაცს“და ფადეევი ამ როლისათვის ზედგამოჭრილი იყო.

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, სამხედრო პროკურაგურამი ყურად იღეს ეს საჩივრები და დაკითხეს ყველა პირი, რომლებმაც ათი წლის წინათ მისცეს ჩვენება ფადეევის წინააღმდეგ.

საქმის მასალებიდან: „1957 წელს ხელახლა დაკითხეს სგაცენკო (ბურგომისგრი – **რედ.**) და ორლოვი (პოლიციის უფროსი – **რედ.**), რომლებმაც უარყვეს ფადეევის წინააღმდეგ მიეცემული ჩვენებები. როგორც მათ აღნიშნეს, ასეთი ჩვენებები მისცეს „გამოძიების უკანონო მეთოდებით“ ზემქმედების გამო.

ხელახლა დაკითხულმა ლიდსკაიამ წინანდელი ჩვენება მეცვალა და აღნიშნა, რომ მხოლოდ 2-3-ჯერ თუ უნახავს, პოლიციის შენობიდან გამოსული ფადეევი. ფადეევის დამ ალამაც განაცხადა, რომ მემნუხოვს არ მეუთავებია მისთვის იაგაკქვეშა ორგანიზაციაში გაწევრიანება და ამის თაობაზე ძმასთანაც არანაირი ლაპარაკი არ ჰქონია. მოწმე კოშევაიამ აღიარა, რომ ფადეევის ღალგის შესახებ მანაც არაფერი იცოდა...“

გამოდის, რომ „ახალგაზრდა გვარდიის“ ღალგში ვისიმე დადანაშაულება აქ არ ხერხდება? ყოველ შემთხვევაში, სამხედრო პროკურორმა გორნიმ დაუყოვნებლივ მოამზადა პროგესი მოსკოვის სამხედრო გრიბუნალის სახელმე, რომელშიც ითხოდა, რომ გიუქმებინათ სახელმწიფო უშიშროების სამინისგროს საგანგებო თათბირის დადგენილება ფადეევის მიმართ. საქმე კი შეეწყვიტათ იმის გამო, რომ ვერ დადასტურდა მისთვის წაყენებული ბრალდება. მაგრამ რომელიღაც ხელმძღვანელმა მუშაკმა იმავე დოკუმენგზე ლურჯი ფელნით წაწერა: „პროგესების შეგანისათვის საფუძველს ვერ ვხედავ. ფადეევის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს“. სგრიქონებს შუა ასეთი რამ ითქმოდა: „თქვენ ხომ არ მეიმალეთ? ყველას რეაბილიგირება გადაწყვიგეთ? ამაოდ ხომ არ გვიმრომია ამდენი 1948 წელს?“

მახსენდება, რომ ერთ-ერთ დიდ ადამიანს უთქვამს: თვით ისგორიის საათსაც კი ჰყავს თავისი მესაათეები

ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელების საკონკურსო გრანტების საბჭოს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აგრარიკოს მეცნიერთა და ფერმერთა საყურადღებოდ

ქვეყანაში მიმდინარე აგრარული რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ფერმერული (გლეხური) მეურნეობების მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფის დონის ამაღლება წარმოადგენს. ამ მიზნით მსოფლიო ბანკის დახმარებით მიმდინარე „სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების“ პროექტის ფარგლებში შემუშავებული იქნა საკონკურსო გრანტების სისტემა, რომელსაც ხელმძღვანელობს ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელების საკონკურსო გრანტების საბჭო. საბჭო კონკურსის საფუძველზე გასცემს გრანტებს იმ ორგანიზაციებზე, რომელთა აპრობირებული კვლევის შედეგების დემონსტრირება, დანერგვა და გავრცელება პირდაპირ პასუხობს ფერმერული (გლეხური) მეურნეობების ამაღლების, საქონელწარმოების ზრდისა და პროდუქციის რეალიზების პრაქტიკული პრობლემების გადაჭრას.

ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელების საკონკურსო გრანტების საბჭო აცხადებს კონკურსს 2004–2005 წლებში განსახორციელებელი პროექტებისთვის გრანტების მოსაპოვებლად შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებზე:

● ფერმერთა ორგანიზება (კოოპერირება) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, აგდგილობრივი გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის.

კონკურსში დამოუკიდებლად ან ერთობლივად მონაწილეობის უფლება აქვთ:
კერძო აგრო-სამრეწველო კომპანიებს და საწარმოებს.
არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი სამუშაოებით.
სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებებს, ფერმერულ ასოციაციებს, კოოპერატივებს და სხვა ფერმერულ ორგანიზაციებს.
სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებს;
სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ტექნოლოგიების გამავრცელებელ ორგანიზაციებს.

კონკურსში დამოუკიდებლად მონაწილეობის უფლება არა აქვთ ფიზიკურ პირებს და „ინდივიდუალური მეწარმის“ სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირებს.

საორგანიზაციო საკითხები:
საკონკურსო განაცხადების წარმოდგენა განხორციელდება ორ ეტაპად:

პირველ ეტაპზე კონკურსანტები წარმოადგენენ პირველად განაცხადს, რომლის დადებითად შეფასების შემთხვევაში დაიშვებიან კონკურსის მეორე ეტაპზე. პირველადი განაცხადის წარმოდგენის საბოლოო ვადაა **2003 წლის 21 ივლისის 17 საათი.** პირველადი განაცხადის წარმოუდგენლობის შემთხვევაში კონკურსანტები მეორე ეტაპზე არ დაიშვებიან. პირველადი განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, კომპიუტერზე ნაბეჭდი 12 ზომის შრიფტით 1,5 ინტერვალით, დანომრილი გვერდებით და აკინძული ორ ეგზემპლარად.

მეორე ეტაპზე კონკურსანტები წარმოადგენენ ძირითად განაცხადს, რომლის წარმოდგენის საბოლოო ვადაა **2003 წლის 5 სექტემბრის 17 საათი.** ძირითადი განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, კომპიუტერზე ნაბეჭდი 12 ზომის შრიფტით 1,5 ინტერვალით, დანომრილი გვერდებით, აკინძული ცხრილებთან და ქვემოთ ჩამოთვლილ დანართებთან ერთად, სამ ეგზემპლარად. ამავე დროს განაცხადის ძირითადი ტექსტი ცხრილებთან ერთად (დანართების გამოკლებით) წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად, დისკეტაზე შენახული ფაილის სახით.

დანართი 1.
წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები;

დანართი 2.
საკონკურსო განაცხადში წარმოდგენილი აპრობირებული მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სარეკომენდაციო წერილი მაპროფილებელი ორგანიზაციიდან.

დანართი 3.
პროექტის განსახორციელებლად შერჩეული მიწის ნაკვეთების/პროექტში მონაწილე ფერმერების მიერ ამ ნაკვეთების საკუთრებაში ან იჯარით ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ნაკვეთის ნახაზი.

დანართი 4.
ხელშეკრულება წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებს შორის ჩასაგარებელი სამუშაოების და ღონისძიებების განაწილების, გრანტის სახსრებით შესყიდული ქონების და მიღებული ფინანსურ-მატერიალური შედეგების განაწილების შესახებ;

დანართი 5.
ხელშეკრულება წამყვან ორგანიზაციასა და მონაწილე ფერმერებს შორის ჩასაგარებელი სამუშაოების და ღონისძიებების განაწილების, გრანტის სახსრებით შესყიდული ქონების და მიღებული ფინანსურ-მატერიალური შედეგების განაწილების შესახებ;

დანართი 6.
პროექტის ხელმძღვანელის და წამყვან მონაწილეთა ბიოგრაფიული მონაცემები (CV);

დანართი 7.
გრანტის მიმღებთა მიერ პროექტის საერთო ღირებულების არანაკლებ 20%-ის ფულადი ან ნაგურალური თანამონაწილეობით დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტები;

დანართი 8.
პროექტების სპეციფიკიდან გამომდინარე (მემცენარეობის განხრით) ცნობა განსახორციელებლად შერჩეულ ნაკვეთებში ნიადაგის ნაყოფიერების შესახებ.

გამოცხადებული ვადების გასვლის შემდეგ საკონკურსო განაცხადები აღარ მიიღება. აგდგილობრივი და უცხოელი ექსპერტების რეცენზიების განხილვის და საკონკურსო გრანტების საბჭოს მიერ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების საბოლოო ვადაა **2003 წლის 19 დეკემბერი.** საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა და ხელმეორედ განხილვას არ ექვემდებარება. კონკურსში გამარჯვებული პროექტების განხორციელება შეიძლება დაიწყოს 2004 წლის 1 მარტიდან ან, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოგვიანებით. პროექტები უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 2005 წლის 31 დეკემბერს. პროექტების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 6 თვიდან 22 თვემდე.

საგრანტო განაცხადების მომზადების დაწყებამდე კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველები აუცილებლად უნდა გაეცნონ მეთოდურ მითითებებს პროექტების კონკურსზე წარსადგენი განაცხადების შესადგენად. ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკონკურსო გრანტების საბჭოს სამდივნოში ქვემოთ მითითებულ მისამართზე. განაცხადების მომზადებაში კონკურსანტებისადმი დამატებითი დახმარების გაწევის მიზნით ჩაგარდება საკონსულტაციო სემინარები. მათი ჩაგარების დროსა და ადგილს დაამუშავებს და გაცნობებთ საკონკურსო გრანტების საბჭოს სამდივნო.

მეთოდური მითითებებისა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება შემდეგ მისამართზე: საკონკურსო გრანტების საბჭოს სამდივნო, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შენობა. თბილისი 380023, კოსტავას 41, VI სართული, ოთახი 632, ტელ. 92 20 45, 92 20 41

ქვეყანაში მიმდინარე აგრარული რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ფერმერული (გლეხური) მეურნეობების მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფის დონის ამაღლება წარმოადგენს. ამ მიზნით მსოფლიო ბანკის დახმარებით მიმდინარე „სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების“ პროექტის ფარგლებში შემუშავებული იქნა საკონკურსო გრანტების სისტემა, რომელსაც ხელმძღვანელობს ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელების საკონკურსო გრანტების საბჭო. საბჭო კონკურსის საფუძველზე გასცემს გრანტებს იმ ორგანიზაციებზე, რომელთა აპრობირებული კვლევის შედეგების დემონსტრირება, დანერგვა და გავრცელება პირდაპირ პასუხობს ფერმერული (გლეხური) მეურნეობების პროდუქციულობის ამაღლების და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრას.

ფერმერულ მეურნეობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვა-გავრცელების საკონკურსო გრანტების საბჭო აცხადებს კონკურსს 2004-2005 წლებში განსახორციელებელი პროექტებისთვის გრანტების მოსაპოვებლად გარემოსადმი ნაკლებად მავნე შემდეგი აგრარული ტექნოლოგიების დემონსტრირებისა და დანერგვა-გავრცელების მიზნით*:

1. ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება გადამუშავებული ნაკელის გამოყენებით;
2. დეგრადირებული და დაბალნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროდუქციულობის ამაღლება (თესლბრუნვა, ახალი კულტურების შემოტანა, დრენაჟი და სხვა);
3. ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების (ტერასირება, კონტურული ხვნა, ბუფერული ზოლების გაშენება და სხვა) გაგარება;
4. გარემოსადმი ნაკლებად მავნე აგრარული ტექნოლოგიებისადმი საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება.

შენიშვნა*: წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები შეიძლება მოიცავდენ შუგდიდის, ხობის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში მდინარეების ნაპირებიდან არა უმეტეს 2 კმ-ით დაშორებულ ფერმერულ მეურნეობებს.

კონკურსში დამოუკიდებლად ან ერთობლივად მონაწილეობის უფლება აქვთ:
კერძო აგრო-სამრეწველო კომპანიებს და საწარმოებს.
არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც დასაქმებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი სამუშაოებით.
სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებებს, ფერმერულ ასოციაციებს, კოოპერატივებს და სხვა ფერმერულ ორგანიზაციებს.
სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებს.
სასოფლო-სამეურნეო და გარემოსდაცვითი ცოდნისა და ტექნოლოგიის გამავრცელებელ ორგანიზაციებს.
კონკურსში დამოუკიდებლად მონაწილეობის უფლება არა აქვთ ფიზიკურ პირებს და „ინდივიდუალური მეწარმის“ სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირებს.

საორგანიზაციო საკითხები:
საკონკურსო განაცხადების წარმოდგენა განხორციელდება ორ ეტაპად:

პირველ ეტაპზე კონკურსანტები წარმოადგენენ პირველად განაცხადს, რომლის დადებითად შეფასების შემთხვევაში დაიშვებიან კონკურსის მეორე ეტაპზე. პირველადი განაცხადის წარმოდგენის საბოლოო ვადაა **2003 წლის 21 ივლისის 17 საათი.** პირველადი განაცხადის წარმოუდგენლობის შემთხვევაში კონკურსანტები მეორე ეტაპზე არ დაიშვებიან. პირველადი განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, კომპიუტერზე ნაბეჭდი 12 ზომის შრიფტით 1,5 ინტერვალით, დანომრილი გვერდებით და აკინძული ორ ეგზემპლარად.

მეორე ეტაპზე კონკურსანტები წარმოადგენენ ძირითად განაცხადს, რომლის წარმოდგენის საბოლოო ვადაა **2003 წლის 5 სექტემბრის 17 საათი.** ძირითადი განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, კომპიუტერზე ნაბეჭდი 12 ზომის შრიფტით 1,5 ინტერვალით, დანომრილი გვერდებით და აკინძული ცხრილებთან და ქვემოთ ჩამოთვლილ დანართებთან ერთად, სამ ეგზემპლარად. ამავე დროს განაცხადის ძირითადი ტექსტი ცხრილებთან ერთად (დანართების გამოკლებით) წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად, დისკეტაზე შენახული ფაილის სახით.

დანართი 1.
წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები;

დანართი 2.
საკონსულტაციო განაცხადში წარმოდგენილი აპრობირებული მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან სარეკომენდაციო წერილი მაპროფილებელი ორგანიზაციიდან.

დანართი 3.
პროექტის განსახორციელებლად შერჩეულ მიწის ნაკვეთებზე/პროექტში მონაწილე ფერმერების მიერ ამ ნაკვეთების საკუთრებაში ან იჯარით ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ნაკვეთის ნახაზი.

დანართი 4.
ხელშეკრულება წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებს შორის ჩასაგარებელი სამუშაოების და ღონისძიებების განაწილების, გრანტის სახსრებით შესყიდული ქონების და მიღებული ფინანსურ-მატერიალური შედეგების განაწილების შესახებ;

დანართი 5.
ხელშეკრულება წამყვან ორგანიზაციასა და მონაწილე ფერმერებს შორის ჩასაგარებელი სამუშაოების და ღონისძიებების განაწილების, გრანტის სახსრებით შესყიდული ქონების და მიღებული ფინანსურ-მატერიალური შედეგების განაწილების შესახებ;

დანართი 6.
პროექტის ხელმძღვანელის და წამყვან მონაწილეთა ბიოგრაფიული მონაცემები (ᲒV);

დანართი 7.
გრანტის მიმღებთა მიერ პროექტის საერთო ღირებულების არანაკლებ 20%-ის ფულადი ან ნაგურალური თანამონაწილეობით დაფინანსების დამადასტურებელი დოკუმენტები;

დანართი 8.
ცნობა პროექტების განსახორციელებლად შერჩეულ ნაკვეთებში ნიადაგის ნაყოფიერების შესახებ.

გამოცხადებული ვადების გასვლის შემდეგ საკონკურსო განაცხადები აღარ მიიღება. აგდგილობრივი და უცხოელი ექსპერტების რეცენზიების განხილვის და საკონკურსო გრანტების საბჭოს მიერ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების საბოლოო ვადაა **2003 წლის 19 დეკემბერი.** საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა და ხელმეორედ განხილვას არ ექვემდებარება. კონკურსში გამარჯვებული პროექტების დაფინანსება შეიძლება დაიწყოს 2004 წლის 1 მარტიდან, ან, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოგვიანებით. პროექტები უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 2005 წლის 31 დეკემბერს. პროექტების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 6 თვიდან 22 თვემდე.

საგრანტო განაცხადების მომზადების დაწყებამდე კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველები აუცილებლად უნდა გაეცნონ მეთოდურ მითითებებს პროექტების კონკურსზე წარსადგენი განაცხადების შესადგენად. ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია საკონკურსო გრანტების საბჭოს სამდივნოში ქვემოთ მითითებულ მისამართზე. განაცხადების მომზადებაში კონკურსანტებისადმი დამატებითი დახმარების გაწევის მიზნით ჩაგარდება საკონსულტაციო სემინარები. მათი ჩაგარების დროსა და ადგილს დაამუშავებს და გაცნობებთ საკონკურსო გრანტების საბჭოს სამდივნო.

მეთოდური მითითებებისა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება შემდეგ მისამართზე: საკონკურსო გრანტების საბჭოს სამდივნო, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შენობა. თბილისი 380023, კოსტავას 41, VI სართული, ოთახი 632, ტელ. 92 20 45, 92 20 41

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის პროექტი

პროექტის დოკუმენტაციის საერთაშორისო საჯარო განხილვის პროცესი

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი გულისხმობს კასპიის ზღვის საბადოების ათვისებას, აზერბაიჯანის სანაპირო ზოლში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი მიზნად ისახავს 1760 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობას, რომლითაც მოხდება ყოველდღიურად ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან, საქართველოს გავლით, თურქეთის მიმართულებით, საიდანაც ნავთობი შემდეგ მიეწოდება მსოფლიო ბაზრებს, და რომლის ამოქმედება 2005 წლიდან არის დაგეგმილი. ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები ჯამში 10 მილიარდამდე აშშ დოლარს მიაღწევს, რაც მათ შორის მოიცავს 3,2 მილიარდ აშშ დოლარს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის I ფაზის განვითარებისათვის და 2,95 მილიარდ აშშ დოლარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენისათვის. ორივე პროექტს წარმართავს კომპანია „BP“, თითოეული ამ პროექტის საერთაშორისო ინვესტორთა ჯგუფების სახელით.

ერთობლივი მანდატის ფარგლებში, „საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია“ (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს კერძო სექტორში და „ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი“ (EBRD) ამჟამად განიხილავენ თითოეული 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოების ათვისების I ფაზის პროექტისათვის და თითოეული დამატებით 150 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსების მიზნით.

პროექტების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს პროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპების რეალიზაციას გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროებისადმი საპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირობებში, პროექტებმა მიმართეს უარეცენდენტო ნაბიჯებს – გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალების და საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, რაც, მათ შორის, მოიცავდა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი კონსულტაციების და საჯარო განხილვების ორგანიზებას, გასული ორი წლის განმავლობაში. პროექტების ტერიტორიის მფლობელ სამივე ქვეყანაში მოეწყო „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშების საჯარო განხილვა და ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოების შესწავლის საგანი გახდა, რასაც 2002 წელს მოჰყვა დოკუმენტების დამტკიცება ქვეყნების მთავრობების მიერ.

